მაგალითად, იაპონიაში, როდესაც პაციენტს შეზღუდული აქვს გადაწყვეტილების მიღების უნარი, ოჯახის წევრები და ექიმები უფრო გადაწყვეტად იღებენ თავის თავზე საბოლოო ვერდიქტს. იაპონელებს შემუშავებული აქვთ სიცოცხლისა და სიკვდილის უნიკალური კონცეფცია, რაც გამოიხატება იმაში, რომ პაციენტებს აქვთ ძლიერ „მორჩილი“ დამოკიდებულება ექიმებთან ან აღიქვამენ საკუთარ მდგომარეობას, როგორც ბედისწერას. იაპონელები თავს იკავებენ ტკივილის გამოხატვისგან, რადგან მოთმინება უმაღლეს ხელოვნებად ითვლება იაპონურ კულტურაში. ამდენად, იაპონელი მოხუცები თავს იკავებენ „ექიმის შეწუხებისგან“. ეს ღირებულებები განსხვავდება დასავლეთის კულტურისაგან, სადაც პაციენტის უფლებებს დიდ პატივს მიაგებენ (Hirakawa Y., 2012).

იაპონიამ 2000 წელს შემოიღო საჯარო გახანგრძლივებული მზრუნველობის დაზღვევის (LTCI) სისტემა. ეს სისტემა ოფიციალურად აღიარებს მასში მონაწილე პროფესიონალებს, როგორც „მზრუნველობის მენეჯერებს“ (Care Managers), რომელთა პირველადი პასუხისმგებლობა და მოვალეობაა მოახდინონ მოვლის სერვისების კოორდინაციის გადახედვა და შექმნან მზრუნველობის გეგმები მოხუცი ინდივიდებისთვის. სპეციალური ტრენინგის გავლის შემდეგ, „მზრუნველობის მენეჯერის“ სერტიფიკატის აღება შეუძლია მოვლაში მონაწილე ნებისმიერ ლიცენზირებულ პროფესიონალს, მაგ. ექთანს, ექიმს, სოციალურ მუშაკს, ფიზიკური თერაპიის სპეციალისტს.

ამ სისტემის წყალობით და მისი მეშვეობით, ნებისმიერ 65 წლის ან მეტი ასაკის პიროვნებას, რომელსაც ესაჭიროება გახანგრძლივებული მოვლა, შეუძლია ისარგებლოს მზრუნველობის მენეჯერების მიერ კოორდინირებული ინსტიტუციური ან ბინაზე მოვლის სერვისებით (Matsuda & Yamamoto, 2001; Tsutsui & Muramatsu, 2007).

2001 წელს, იაპონიის გერიატრიის საზოგადოებამ გამოაქვეყნა ე.წ. პოზიციური განცხადება მოხუცთა პალიატიურ მზრუნველობასთან დაკავშირებით (Japan Geriatric Society, 2001), რომელიც შემუშავდა იაპონიის გერიატრიული საზოგადოების საბჭოს კითხვარით ჩატარებულ კვლევით (Iguchi, 2001; Iijima, 2009) დადასტურებული საჭიროებების საპასუხოდ:

ცხრილი 2: იაპონიის გერიატრიის საზოგადოების პოზიციური განცხადება, 2001 წლის 13 ივნისი

პოზიცია 1	მოხუც პაციენტებს არ უნდა ჩამოერთვათ შესაძლებლობა, მიიღონ სათანადო მზრუნველობა/მოვლა, მათი შეზღუდული დამოუკიდებლობის ან სხვა ასაკთან დაკავშირებული ინვალიდობის გამო.
პოზიცია 2	მომაკვდავი პაციენტის მოვლა უნდა განხორციელდეს ყოველი მისი ღირებულების, ფიქრისა და რწმენის სრული პატივისცემით.
პოზიცია 3	მომაკვდავი პაციენტის მოვლა მიმართული უნდა იყოს სიცოცხლის ხარისხის შენარჩუნების ან გაუმჯობესებისკენ.
პოზიცია 4	მომაკვდავი პაციენტის მოვლა მოიცავს ასევე მისი ოჯახის მხარდაჭერას.
პოზიცია 5	მომაკვდავი პაციენტის ტერმინალური მოვლა არის მულტიდისციპლინური მზრუნველობა, რომელიც მოიცავს დისციპლინათა ფართო სპექტრს, მედიცინის,

	საექთნო და სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიური პროფილის ჩათვლით.
პოზიცია 6	ტერმინალური მოვლისას გამოყენებული სამედიცინო პრაქტიკა უნდა იძლეოდეს პაციენტისათვის სარგებლის გარანტიას
პოზიცია 7	პაციენტის ღირსების გათვალისწინების, ასევე პაციენტის ავტონომიისადმი პატივისცემისათვის, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ინდივიდუალური კულტურული ისტორია
პოზიცია 8	სამედიცინო პროფესიონალებს უნდა ჰქონდეთ მიღებული სპეციალური განათლება, პაციენტის უფლებების დასაცავად, მიიღოს ოპტიმალური მკურნალობა და მოვლა.
პოზიცია 9	ეროვნულ დონეზე უნდა გაეწიოს პოპულარიზაცია ფართო გაგებას იმის შესახებ, თუ როგორ აუმჯობესებს პაციენტების სიცოცხლის ხარისხს მომაკვდავი პაციენტის ტერმინალური მოვლა. იაპონიაში ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ტერმინალური მოვლისა და გარდაცვალების საკითხებზე განათლება.
პოზიცია 10	მომაკვდავი პაციენტების ტერმინალური მოვლის გასაუმჯობესებლად საჭიროა ჯანდაცვის რეფორმა.
პოზიცია 11	მომაკვდავი პაციენტების ოპტიმალური მოვლის შესახებ კვლევები უნდა იქნას წახალისებული დაფინანსების საკმარისი წყაროების უზრუნველყოფით.
პოზიცია 12	ძლიერ რეკომენდებულია, რომ ყველა დაწესებულებამ დააფუძნოს ეთიკური კომისია მესამე მხარის მონაწილეობით, რათა მოხდეს მათ მიერ მოწოდებული სამედიცინო პრაქტიკის და მომაკვდავი პაციენტის მოვლის სათანადოობის განხილვა. ფართო კონსენსუსის მისაღწევად, მთელ საზოგადოებას უნდა ჰქონდეს თავისუფალი წვდომა ამ დისკუსიებთან, ინფორმაციის გაზიარების მეშვეობით.
პოზიცია 13	ეს პოზიციური განაცხადი ცვალებადია და მისი შესაბამისობა უნდა შემოწმდეს შემდგომი გამოცდილებებისა და კვლევების ჭრილში, სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით.

ამ განცხადებაში წარმოდგენილი დებულებები, შესაძლებელია, იქცეს საქართველოს ჯანდაცვისა და სოც.უზრუნველყოფის სისტემის იმ რეფორმების საფუძვლადაც, რომლებიც მიმართულია მოხუცთა სამედიცინო მზრუნველობის გაუმჯობესებისაკენ და „ბოლომდე ღირსეული სიცოცხლის“ შესაძლებლობის განვითარებისაკენ.

მიუხედავად მრავალი ინიციატივისა და პალიატიური მზრუნველობის გაუმჯობესების მცდელობისა, მოხუცთა პალიატიური მზრუნველობის ხარისხი მაინც დაბალ დონეზე რჩება. მრავალი მოხუცი სიცოცხლის ბოლო ეტაპზე განიცდის არასაჭირო ტანჯვას, რაც გამოწვეულია გაუკონტროლებელი სიმპტომებით, დეპრესიით, ეგზისტენციური პრობლემებით (Jerant AF et al, 2004).

პალიატიური მზრუნველობა მოხუცებისთვის არ უნდა იქნას განხილული როგორც ჰოსპისის ან სიცოცხლის ბოლო ეტაპის მზრუნველობის სინონიმი. ის უნდა განიხილებოდეს (და ხორციელდებოდეს) როგორც ისეთი მზრუნველობა, რომელიც ამცირებს ფიზიკური და ემოციური ტანჯვის ტვირთს, რაც თან ახლავს მოხუცებულთა ასაკთან ასოცირებულ დაავადებებს დაბერების მთელი პროცესის მანძილზე, მიუხედავად იმისა, ახლოსაა თუ არა გარდაცვალება. სიცოცხლის ბოლო ეტაპის მზრუნველობა კი, მიუხედავად იმისა, თუ სად ტარდება ის, უნდა წარმოადგენდეს დროში გახანგრძლივებული პალიატიური მზრუნველობის კონტინუუმის ნაწილს (Lynn J, Adamson DM., 2003.).

ამჟამად მოხუცთა პალიატიური მზრუნველობაში არსებულ ფუნდამენტურ პრობლემებს მიეკუთვნება შემდეგი ფაქტორები:

1. პალიატიური მზრუნველობა განიხილება როგორც მხოლოდ დაავადების ტერმინალური სტადიისათვის საჭირო, და არა გახანგრძლივებული პროცესი

მოხუცი პაციენტები ტიპურად კვდებიან ქრონიკული, ნელა პროგრესირებადი დაავადებებით, რომლებსაც ახასიათებს მრავლობითი გამწვავების ეპიზოდები, რასაც მოსდევს სხვადასხვა ხარისხით გამოჯანმრთელების ეპიზოდები. დამკვიდრებული პროგნოსტული მოდელები ზუსტად ვერ განსაზღვრავს ასეთი დაავადებებით გამოწვეული სიკვდილის დადგომის თარიღს. ამ ფუნდამენტურმა შეუთავსებობამ მოვლის პარადიგმასა და კლინიკურ რეალობას შორის გამოიწვია ის, რომ მოხუცთა პალიატიური მზრუნველობა ფოკუსირდება მხოლოდ ქრონიკული დაავადებების გამწვავებების მართვაზე. შედეგად კი ვიღებთ იმას, რომ საერთოდ იკარგება პალიატიური მზრუნველობის სხვა უამრავი შესაძლებლობები, რაც შეიძლება გამოყენებულ იყოს ქრონიკული დაავადების მთელ ტრაექტორიაზე (Coventry PA et al., 2005).

2. პალიატიურ მზრუნველობაზე ფოკუსირების (გადართვის) გადაწყვეტილება ხშირად ნათლად არაა განხილული მხარეებს შორის

მრავალმა კვლევამ დაადასტურა რომ არსებობს კომუნიკაციის პრობლემები მომაკვდავი პაციენტის ოჯახის წევრებსა და ჯანდაცვის პროფესიონალებს შორის

კურაციული ტიპის მკურნალობიდან პალიატიურზე გადასვლის ან მათ შორის წონასწორობის დამყარების საკითხების განხილვისას (Bronstein JM et al, 1986). სანამ არსებობს დროული და სწორი დისკუსიის ნაკლებობა პაციენტებსა და ექიმებს შორის მკურნალობის და პალიატიური მზრუნველობის მიზნებს შორის დაბალანსების თვალსაზრისით, ხდება პაციენტის არსებული ტანჯვის უნებლიე უგულვებელყოფა. ისეთი საკითხები, როგორცაა ღირსების შენარჩუნება, ხშირად ისეთივე მნიშვნელოვანია (და ზოგჯერ უფრო მეტად მნიშვნელოვანაც) როგორც (ვიდრე) ტკივილის გაყუჩება (Back AL et al, 1996). ნათელი დისკუსიის ნაკლებობა ასევე ართმევს პაციენტებს შესაძლებლობას იმისა, სწორად გაანალიზონ და დაგეგმონ დაავადების აუცილებლად თანამდევი სოციალური სფეროს საკითხები (Back AL et al, 1996; Liaschenko J., 1993).

3. პაციენტის ავტონომიას მკურნალობის შერჩევის საკითხში ზედმეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული

თანამედროვე მიდგომები პალიატიურ მზრუნველობაში ეფუძნება მცდარ მოსაზრებას, რომ ადამიანის ღირსების საფუძველია მისი ავტონომია. რეალურად, ავტონომია მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმ არჩევანზე, რასაც ექიმი სთავაზობს პაციენტს. ამასთანავე ამ არჩევანის შეთავაზებასაც სჭირდება სპეციალური ცოდნა და უნარ-ჩვევა. მაგალითად, არ შეიძლება მომაკვდავ პაციენტს ჰკითხო, სურს თუ არა რომ გამოყენებულ იქნას ინვაზიური თერაპიის მეთოდები სიცოცხლის შესანარჩუნებლად, მაშინაც კი როცა გადარჩენის შანსი არ არსებობს, იმის მიუხედავად რა მეთოდები იქნება გამოყენებული. უფრო სწორი იქნებოდა არჩევანის შეთავაზება სპეციფიური მკურნალობის მიზანთან (და არა მეთოდთან) დაკავშირებით. ასე, მაგალითად, ლოგიკურია, რომ შევაფასოთ თავად პაციენტის ცოდნა, როგორ აღიქვამს საკუთარ დაავადებას და მისი აზრით, დაავადების ტრექტორიის რა წერტილში იმყოფება, ხოლო შემდგომ კი მისი ინფორმირების საფუძველზე დავსახოთ მკურნალობის/მოვლის კონკრეტული მიზნები, მისი სურვილებისა და არჩევანის გათვალისწინებით (Drought TS, et al., 2002).

4. პალიატიური მზრუნველობა განიხილება როგორც პარალელური სისტემა, და არა ინტეგრირებული პროცესი

ამ პრობლემების გადასაწყვეტად, შემოთავაზებულია მოხუცთა პალიატიური მზრუნველობის TLC მოდელი (T –timely and team oriented (დროული და გუნდზე ორიენტირებული), L – longitudinal (გახანგრძლივებული), C – collaborative and comprehensive (კოლაბორაციული და ამომწურავი)) (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3: მოხუცთა პალიატიური მზრუნველობის TLC მოდელი

სიმბოლო	მოდელის ელემენტი	შემუშავებისათვის აუცილებელია
T	Timely (დროული)	უფრო პროაქტიური, ვიდრე რეაქტიული მიდგომა, რათა თავიდან იქნას აცილებული არასაჭირო ტანჯვა
	Team oriented (გუნდზე ორიენტირებული)	ექთნები, სოცმუშაკები, დატრენინგებული მომვლელები და სხვა მონაწილეები
L	Longitudinal (დროში გახანგრძლივებული)	პალიატიური და სამკურნალო ღონისძიებებს შორის ბალანსის ჩამოყალიბება
C	Collaborative (კოლაბორაციული)	გადაწყვეტილებების ერთად მიღება პაციენტების, მათი ოჯახის წევრების და ჯანდაცვის პროვაიდერების მიერ
	Comprehensive (ამომწურავი, ყოვლისმომცველი)	პალიატიური მზრუნველობის ყველა ემპირიული დომენის მოცვა გამონაკლისის გარეშე

ეს მოდელი იძლევა იმის საშუალებას, რომ მოხდეს პაციენტის მოვლა მისი საჭიროებების მაქსიმალურად გათვალისწინებით, ამასთან არ გულისხმობს რომ პაციენტი აუცილებლად უნდა იყოს მოცემულ ეტაპზე მომაკვდავი, როგორც ეს მცდარად აღიქმება ხოლმე. ეს მოდელი ეხმარება პაციენტებს, მათ ოჯახის წევრებს და ექიმებს, გააცნობიერონ სიკვდილის მოახლოვების ხანგრძლივი პროცესი, რომელიც ქრონიკული დაავადების მიმდინარეობის ბუნებრივი ნაწილია და შესაბამისად, მოახდინონ მისი ადექვატური, შეთანხმებული მართვა.

ამ მოდელის ეფექტურობის შეფასება მოხდა სპეციალიზებულ მოვლის სახლებში (assisted living setting), რომელიც წარმოადგენს ისეთი ტიპის საცხოვრებელს, სადაც მომვლელები უზრუნველყოფენ პერსონალური სერვისების,

ზედამხედველობის, სხვადასხვა აქტივობების და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერვისების მიწოდებას ან კოორდინაციას (National Center for Assisted Living. Assisted living: independence, choice and dignity. Available at: <http://www.ncal.org/about/alicd.pdf>). აშშ-ში ამჟამად დაახლოებით 1,5 მილიონი საწოლია ასეთ დაწესებულებებში და მათზე მოთხოვნა ძლიერ იზრდება (American Health Care Association. Testimony of the National Center for Assisted Living presented to the Institute of Medicine Committee on Improving Quality in Long Term Care, March 12, 1998.)

მოხუცთა სპეციალიზებული მოვლის სახლები წარმოადგენს იდეალურ ადგილს მოხუცთა პალიატიური მზრუნველობის TLC მოდელით განხორციელებისათვის შემდეგი მიზეზების გამო:

- მოხუცი ასაკის მოსახლეობაში სულ უფრო მეტად აღინიშნება ფუნქციური დაუძლურება და სისუსტე და მათ სჭირდებათ დახმარება 2 ან მეტ ყოველდღიურ აქტივობაში (Bishop CE., 1999; Zimmerman SS et al, 2001). ასეთ სახლების მოხუცი ბენეფიციარები არიან სიცოცხლის მიწურულ, მაგრამ არა აუცილებლად სიკვდილის წინა ეტაპზე (Walter LC et al, 2001).

- იმის გამო, რომ აქ მაცხოვრებელთა უმეტესობას აღენიშნება მრავლობითი ქრონიკული დაავადება, რომელთა ზუსტი პროგნოზირება შეუძლებელია (Christakis NA., 1999; Emmanuel LL et al, 2000), ამ დაავადებათა სიმპტომები მუდმივად კონტროლდება (და არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი იწვევს ტანჯვას). მათში მუდმივად ხდება პალიატიური მზრუნველობის საჭიროებების და სიცოცხლის ხარისხის შეფასება (Cartwright JC., 2002; Mezey M et al, 2002).

რეალობაში კი განსხვავებული სურათი გვაქვს: აშშ-ში სპეციალიზებულ მოხუცებულთა სახლებში (PCAL – Palliative Care in Assisted Living setting) 2000 წლის ნოემბრიდან 2004 წლის ივნისამდე პერიოდში ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ იმ მოხუცებში, რომლებიც არ არიან ტერმინალურ სტადიაზე, თუმცა ყველა მათგანი მიახლოებულია სიცოცხლის ბოლო ეტაპთან, პალიატიური მზრუნველობა უხარისხოდ ხორციელდება სწორედ იმის გამო, რომ არ ითვალისწინებს ზემოთ დასახელებულ თავისებურებებს. ამასთანავე, გამოკვეთილ

იქნა ის პრობლემები, რომალთა მართვაც აუცილებელია მოხუცთა ასაკში: მობილობის პრობლემა და დავარდნის რისკი (26%), შორსწასული ეტაპის მართვის სტრატეგიის უქონლობა (17%), მხედველობის და სმენის პრობლემები (12%), ტკივილი და სხვა სიმპტომები (8%), დემენცია და კოგნიტური გაუარესება (7%), დეპრესია (6%), შარდის შეუკავებლობა (3%), სხვადასხვა (11%).

ნათელია, რომ ამჟამად გავრცელებული პალიატიური მზრუნველობის მოდელი ცუდად ერგება მოხუც პაციენტებს რომლებიც იტანჯებიან ნელა პროგრესირებადი ქრონიკული დაავადებებით. TLC მოდელი გვთავაზობს ეფექტურ მონახაზს პალიატიური მზრუნველობის ჩარევების დაგეგმვისთვის რათა მოხდეს მზრუნველობაში ამჟამად არსებული ხარვეზების გამოსწორება და როგორც დარჩენილი სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება ისე გარდაცვალების პროცესის უკეთესად მართვა.

დაავადების შორსწასულ სტადიაზე სიცოცხლის ხარისხი ძალზე დაბალია, ამასთან მისი მთავარი კომპონენტია არაადექვატურად მართული ფიზიკური და ფსიქოლოგიური სტრესი; ასევე ფრაგმენტირებული მზრუნველობის სისტემები, ცუდი კომუნიკაცია ექიმებს, პაციენტებსა და ოჯახებს შორის და უზარმაზარი დატვირთვა და პასუხისმგებლობა ოჯახის იმ წევრებზე, რომელთაც უწევთ მოვლის მთლიანად საკუთარ თავზე აღება (Signorielli N., 1993).

აშშ-ში მიჩნეულია, რომ მათთვის, ვინც აღწევს 75 წლამდე, შესაძლებელია საშუალოდ 10-12 წლით სიცოცხლის კიდევ გახანგრძლივება (Field MJ et al, 1997). დემოგრაფიულად ამ ცვლილებების შედეგი იქნება ხანდაზმული მოსახლეობის რაოდენობის და მათი ჯანმრთელობის მკვეთრი ზრდა.

გასული საუკუნის დასაწყისში სიკვდილის მიზეზი იყო მწვავე ინფექცია, ამჟამად სიკვდილის უპირველეს გამომწვევ მიზეზებში სახელდება ქრონიკული დაავადებები, როგორცაა გულის პათოლოგიები, სიმსივნეები და ინსულტი. მედიცინის უკანასკნელი მიღწევების წყალობით, ისეთმა დაავადებებმა როგორცაა ათეროსკლეროზული დაავადება და სიმსივნე, ფატალური და სწრაფად პროგრესირებადი დაავადებების სიიდან ქრონიკულ დაავადებებში გადაინაცვლა,

რაც იმას ნიშნავს რომ ასეთი დაავადებებით პაციენტმა შესაძლოა წლების მანძილზე იცოცხლოს. პარალელურად, გარდაცვალება, რომელიც უფრო მეტად ხდებოდა სახლში მეოცე საუკუნის ადრეულ პერიოდში, ახლა უფრო მეტად ხდება სამედიცინო დაწესებულებებში ან მოხუცებულთა სახლებში (53% და 24% შემთხვევებში, შესაბამისად). ამ ცვლილებების მიზეზი მრავალგვარია, თუმცა ძირითადად დაკავშირებულია ფინანსურ მდგომარეობასთან ქრონიკული დაავადების მქონე პირის მოვლის ტვირთთან და იმ ფუნქციურ უუნარობასთან რაც ქრონიკული დაავადების ბოლო სტადიას ახლავს თან და მოხუცს ხდის სხვაზე დამოკიდებულს (Warren E et al, 1992; Spillman BC et al, 2000; Meier DE et al, 2002).

1996 წლის მონაცემების თანახმად, 25 მილიონზე მეტი ადამიანი აშშ-ში უვლის მძიმედ დაავადებულ ნათესავს სახლში, ამასთან მათი დატვირთვა დაახლოებით კვირაში 18 საათია. თუ გავიანგარიშებთ, რომ ერთი საათის მოვლის ღირებულება დაახლოებით 8\$-ია, გამოდის რომ დაახლოებით წლიურად \$194 მილიარდის საფასური არაანაზღაურებადი მოვლა ეკისრება მომვლელებს (Arno PS et al, 1999).

მოვლის უმეტესი წილი მოდის ქალებზე (მეუღლეები, ქალიშვილები, რძლები), რაც მათ უმძიმეს დატვირთვას აკისრებს ფიზიკური, ემოციური და სოციოეკონომიკური კუთხით (Emanuel EJ et al, 1999). მომვლელთა 87%-ზე მეტი აცხადებს, რომ მათ სჭირდებათ მეტი დახმარება ტრანსპორტირებაში (62%), სახლის დალაგებაში (55%), პაციენტის საექთნო (28%) და პირად მოვლაში (26%). მოვლა თავისთავად წარმოადგენს მძიმე სტრესს და გარდაცვალების, მძიმე დეპრესიის და ასოცირებული თანმხლები დაავადებების რისკ ფაქტორს (Schulz R et al, 1999).

ხანშიშესულ ასაკში ქრონიკული დაავადების ბუნებისა და ხანგრძლივობის გამო, პალიატიური მზრუნველობის დაწყების დრო განსხვავდება ახალგაზრდებისათვის პალიატიური მზრუნველობის დაწყების დროისაგან. ამასთანავე, ის განსხვავდება ჩარევის ინტენსივობითაც. მაგალითად, დემენციის გამომწვევი დაავადების ადრეულ სტადიაზე, სათანადო პალიატიური ჩარევა შესაძლოა მოიცავდეს მომავალ სტადიებზე მოვლის დროულ დაგეგმვას, უპირატესი

მიზნების განხილვას პაციენტის არჩევანის მიხედვით, რწმუნებული პირის მონახვას, ფინანსურ დაგეგმვას და მისთ., რომელთა დასრულება საჭიროა მანამ, სანამ ამის საშუალებას კოგნიტური მდგომარეობა მოგვცემს (Robinson L et al., 2011). დემენციის შუა სტადიაზე, როდესაც თვალსაჩინოდ გამოიკვეთება პროგრესული ფუნქციური დამოკიდებულება, ქცევითი და ფიზიკური სიმპტომები, ოჯახზე დატვირთვა და დისტრესი, პალიატიურმა მზრუნველობამ უმეტესად ყურადღება უნდა გაამახვილოს სიმპტომური დისტრესის დეტალურ შეფასებასა და მკურნალობაზე, ოჯახის პრაქტიკულ და ფსიქოსოციალურ დახმარებაზე და მოსალოდნელი ბოლო სტადიის მოვლის ნათელ და კონკრეტულ დაგეგმვაზე (Brooker D, Latham I., 2015). დემენციის ბოლო სტადიაზე, მზრუნველობის უპირველესი ამოცანა ხდება პაციენტის ფიზიკური და ემოციური კომფორტი, ოჯახისთვის გადაწყვეტილების მიღებაში დახმარება სიცოცხლის გამახანგრძლივებელი ჩარევების (მაგ.ზონდით კვების) სარგებლისა და ტვირთის თაობაზე, მოხუცებულთა მოვლის დაწესებულებაში პაციენტის გადაყვანის შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის თაობაზე. მნიშვნელოვანია მშვიდი გარდაცვალების დაგეგმვა სიმპტომთა კონტროლით, ამასთანავე ოჯახის სათანადო მხარდაჭერა და კონსულტაციები გლოვის პროცესში (Goodman C et al., 2010).

მოხუცთა ინტეგრირებული მოვლის მექანიზმები

მოვლის მექანიზმები წარმოადგენს სტრუქტურირებულ მულტიდისციპლინური მოვლის გეგმას, რომელიც აკეთებს სპეციფიური კლინიკური პრობლემის მქონე პირების მოვლაში ესენციური ნაბიჯების დეტალიზაციას და აღწერს მათ მოსალოდნელ კლინიკურ მიმდინარეობას (Campbell H et al., 1998).

მოვლის ასეთი მექანიზმები პალიატიური და სიცოცხლის მიწურულის მზრუნველობისთვის შემუშავებულია რამოდენიმე ქვეყანაში (Bailey FA et al. 2005; Luhrs CA et al. 2005; Ellershaw J et al., 2003).

მაგალითად, დიდ ბრიტანეთში აღიარებულია ლივერპულის მოვლის მექანიზმი (LCP – Liverpool Care Pathway) - მომაკვდავი პაციენტებისთვის ჰოსპისური

მზრუნველობის მოდელის გადატანა მოვლის სხვა დაწესებულებებში (Liverpool Care Pathway for the Dying Patient (LCP). Liverpool, Marie Curie Palliative Care Institute, 2010 (<http://www.mcpcil.org.uk/liverpool-care-pathway/index.htm>). მექანიზმის მოდიფიცირება მოხდა თირკმლის ქრონიკული დაავადებით, გულის უკმარისობითა და დემენციით შეპყრობილ პირთათვის (McClelland B et al., 2008). ეს მოდელი წარმატებით იქნა გაზიარებული 18 ქვეყანაში, მათ შორის ავსტრალიაში (Jackson K et al., 2009), ჰონგ კონგში, ჩინეთში (Lo SH et al., 2009), ჰოლანდიაში (Veerbeek L et al., 2008) და სხვ. ამჟამად მიმდინარეობს LCP-ის ეფექტურობის მულტიცენტრული რანდომიზებული კონტროლირებული გამოცდა იტალიის ექვს რეგიონში (Hall S., 2011).

პალიატიური მზრუნველობა დემენციით დაავადებული მოხუცებისთვის

დადგენილია, რომ დემენციით დაავადებული მოხუცი პაციენტების მოვლა საზოგადოდ ტარდება არაადეკვატურად, პრევენციიდან დაწყებული სიცოცხლის მიწურულით დამთავრებული. სიცოცხლის მიწურულ ეტაპზე ეს არაადეკვატურობა შეჯამებულია შემდეგნაირად: ზედმეტად ბევრი ჩარევები მცირე ან არანაირი სარგებლით (მაგ. ზონდით კვება, ლაბორატორიული ანალიზები, სხვადასხვა შეზღუდვების და ინტრავენური წამლების გამოყენება), ან ძლიერ მცირე ჩარევა (ტკივილის არასათანადო მართვა, დეჰიდრატაცია და მალნუტრიცია, ემოციური და სოციალური უგულვებელყოფა, სულიერი მხარდაჭერის (მათ შორის, ოჯახის წევრებისაც) არარსებობა) (Small N., 2007). იმ მრავალ მიზეზთა შორის, რის გამოც დემენციით დაავადებული მოხუცები ვერ იღებენ ადეკვატურ პალიატიურ მზრუნველობას, დიდი ნაწილი უჭირავს იმას, რომ თავად ჯანდაცვის პროფესიონალები ვერ აღიქვამენ დემენციის მქონე ადამიანებს, როგორც ტერმინალური მდგომარეობის და მძიმე პროგნოზის მქონე პაციენტებს (Birch D, Draper J., 2008).

დაავადების ტრეექტორია დემენციის მქონე ადამიანებისთვის ხასიათდება „გახანგრძლივებული მერყეობის“ პერიოდით, რაც სირთულეს ქმნის იმის დადგენაში, თუ როდის გადავა კონკრეტულად პაციენტი პალიატიური და

სიცოცხლის მიწურულის მზრუნველობის ფაზაში (Lynn J t al., 2003.). შორსწასული დემენციით პაციენტებთან კომუნიკაცია გაძნელებულია, რაც ასევე განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის სიმპტომების (მაგ. ტკივილის) შეფასებასა და მართვაში, ასევე მათი სურვილების გამოვლენასა და შესაბამისად, გათვალისწინებაში სიცოცხლის მიწურულის მზრუნველობის მანძილზე (Gove D et al., 2010; Ouldred E et al., 2008)

პიროვნული სურვილების გასათვალისწინებლად აუცილებელია, რომ შორსწასული ეტაპის გეგმა შემუშავებულ იქნას დაავადების ადრეულ სტადიაზე. დემენციით დაავადებული ადამიანებისთვის პალიატიური მზრუნველობა უნდა მოიცავდეს აგზნების, შეკრულობის და ტკივილის მართვას (რაც გააუმჯობესებს სიცოცხლის ხარისხს), არასაჭირო გამოკვლევების შემცირებას და დანახარჯების შემცირებას, შესაბამისად (Lloyd-Williams M, Payne S., 2002).

მაგალითად, დიდ ბრიტანეთში შემუშავებული იქნა მულტიდისციპლინური გაიდლაინები დემენციის ტერმინალურ სტადიაზე მყოფი პაციენტების პალიატიური მზრუნველობის გასაუმჯობესებლად. ეს გაიდლაინები შეიმუშავეს მოხუცთა ფსიქიატრიის განხრით მომუშავე ექთნებმა და ექიმებმა ფარმაცევტებთან და პალიატიური მზრუნველობის გუნდთან ერთად. ისინი მოიცავს ტკივილის, შეკრულობის, დისპნეის, ღებინების და აგზნების მართვას. ამ გაიდლაინების გამოყენებამ უჩვენა, რომ ანტიბიოტიკების გამოწერის რაოდენობა სიცოცხლის ბოლო 2 კვირის მანძილზე მნიშვნელოვნად შემცირდა, სამაგიეროდ გაიზარდა ანალგეზიური პრეპარატების მოხმარება, ოპიოიდების ჩათვლით (Lloyd-Williams M et al., 2002).

რადგან დემენციით დაავადებული ადამიანებში დაავადების პროგრესირებასთან ერთად კლებულობს დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარი, ამიტომ ოჯახის წევრებსა და მომვლელებს უწევთ ხშირად საკმაოდ მძიმე არჩევანის გაკეთება (Whitlatch C., 2008). მაგალითად, შერბრუკში (კვებეკი, კანადა) შემუშავებულ იქნა დემენციით შეპყრობილთა მომვლელთათვის სახლმძღვანელო, რომელშიც ასახულია ოჯახის წევრების (მომვლელების) საჭიროებები, დაავადების ტრაექტორიის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღების

პროცესის თავისებურებანი, სიმპტომების მართვის კლინიკური თავისებურებანი, რომლებიც აქტუალურია დემენციის მქონე პაციენტებში სიცოცხლის მიწურულ ეტაპზე; ასევე ასახულია, თუ რა მოვლენები შეიძლება განვითარდეს კვდომის პროცესში, გარდაცვალების და გლოვის პერიოდში (Arcand M et al., 2005). მისი თარგმნა და ადაპტირება მოხდა იტალიაში, იაპონიასა და ჰოლანდიაში. ეს ინტერვენცია შედარებით ნაკლებად ღირებული და ეფექტური მეთოდი აღმოჩნდა ზემოთხსენებული მიზნის მისაღწევად (Arcand M et al., 2009).

გერმანიაში რობერტ ბოსხის ფონდის მიერ დაფინანსებულ იქნა საგანმანათლებლო ინიციატივა დემენციით დაავადებული ადამიანებისთვის პალიატიური მზრუნველობის გაუმჯობესებისთვის. ეს ინიციატივა გულისხმობდა, ერთი მხრივ, სახლში მოვლის გუნდის წევრების, ხოლო მეორე მხრივ, ოჯახის ექიმების ფოკუსირებას დემენციით დაავადებული მოხუცების პალიატიური მზრუნველობის გაუმჯობესებაზე (Palliative care curriculum, Stuttgart, Robert Bosch Foundation, 2010 (<http://www.bosch-stiftung.de/content/language2/html/13157.asp>)).

პროგრამის 40-საათიანი სილაბუსი ეფუძნება პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლებას და მოიცავს პალიატიური მზრუნველობის დაგეგმვას დემენციით დაავადებული პირებისთვის, ტკივილის და სხვა სიმპტომების მართვას, ინტერდისციპლინურ და ინტერპროფესიულ კოლაბორაციას, არჩევანის გაკეთებას სიცოცხლის მიწურულის მზრუნველობის დროს. ეს ინიციატივა ამჟამად მთელი ქვეყნის მასშტაბით ხორციელდება გერმანიაში.

მოხუცთა მოვლის გაუმჯობესება ჰოსპიტალში

მიუხედავად იმისა, რომ მოხუცთა უმრავლესობას სურს სახლში გარდაცვალება, ევროპის ქვეყნებში მათი დიდი ნაწილი კვდება საავადმყოფოებში. ამიტომ, მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ ჰოსპიტალურ სექტორში მოხუცებმა მიიღონ ხარისხიანი პალიატიური მზრუნველობა (Grande G, 2009).

ჰოსპიტალში სიცოცხლის მიწურულს მოვლის გაუმჯობესების რეკომენდაციები მოიცავს მრავალ პუნქტს, მათ შორისაა: პერსონალის განათლება,

მზრუნველობის საჭიროების მქონე პირების იდენტიფიკაცია და შეფასება, მოვლის მექანიზმების იმპლემენტაცია და სპეციალიზებულ პალიატიური მზრუნველობის გუნდებთან ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (End of Life Care Strategy: promoting high quality care for all adults at the end of life. London, Department of Health, 2008). სწორედ ასეთი მზრუნველობა აკმაყოფილებს მოხუცთა საჭიროებებს, რომელთაც ხშირად აღენიშნებათ ისეთი კომორბიდული დაავადებები, როგორცაა გულსისხლძარღვთა დაავადება, ართრიტი, დემენცია ან მგრძნობელობის დაკარგვა და სხვა. ამგვარი მრავლობითი საჭიროებების დაკმაყოფილება ჰოსპიტალურ სექტორში მოითხოვს გერონტოლოგების, ონკოლოგების, კარდიოლოგების, პალიატიური მზრუნველობის ექიმების, კლინიკური ფარმაცოლოგების, ფსიქოლოგებს, სოციალური მუშაკების, დიეტოლოგების, ექთნების საეკლესიო პირების (მოდღვრებს) გუნდურ მუშაობას. ამის წარმატებულ მაგალითს იძლევა დიდი ბრიტანეთი (Darzi A., 2008; Kendall M et al., 2009; Higginson IJ et al., 2002).

საინტერესოა ასევე შვეიცარიის მაგალითი, სადაც ჟენევის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში არსებული პალიატიური მზრუნველობის მულტიდისციპლინური გუნდი ახორციელებს საკონსულტაციო სერვისებს გერიატრიის ზოგადპროფილური საავადმყოფოსთვის. ბოლო 5 წლის მანძილზე კონსულტაციების ყოველწლიური რიცხვი 65-დან 100-მდე გაიზარდა. მზრუნველობის მიმღებთა საშუალო ასაკია 80 წელი. ძირითადი დიაგნოზებია კიბო, გულსისხლძარღვთა და ცერებროვასკულური დაავადებები, ფილტვის პათოლოგიები და დემენცია. სერვისის დაწყების დღიდან პერმანენტულად იზრდება არა-სიმსივნური დაავადებების მქონე პაციენტების რიცხვი, რომლებიც იღებენ პალიატიურ მზრუნველობას. გუნდი ასევე ჩართულია სახლში მოვლის დონეზე ადრეულ ეტაპზე და შორსწასული ეტაპის დაგეგმვის პროცესში (Hall S, 2011).

საინტერესო მაგალითია გენუაში (იტალია) გალიერას ჰოსპიტალში არსებული პალიატიური მზრუნველობის სახლის სერვისი, რომელიც იყენებს ჰოლისტურ მიდგომას, სახლში მოვლის ინდივიდუალიზებულ დაგეგმვას, მზრუნველობის მიმღებთან და მათი ოჯახის წევრებთან ამ გეგმის განხილვას / შეთანხმებას. ეს

სერვისი უზრუნველყოფს ბინაზე დახმარებას დაახლოებით 300 მოხუცისთვის წელიწადში, რომელთაგანაც ¼ ტერმინალურ სტადიაზე იმყოფება (Hall S, 2011).

მოხუცთა პალიატიური მზრუნველობის გაუმჯობესება მოხუცებულთა სახლებში და ბინაზე

ევროპის რეგიონში მაცხოვრებელ მოხუცთა უმრავლესობას სურს მოვლა მიიღოს და შეხვდეს გარდაცვალებას საკუთარ სახლში (Higginson IJ t al.; 2000, Davies E et al., 2004). თუმცა მათი ეს არჩევანი ჯერ კიდევ მეტწილად არარეალიზებული რჩება. კვლევები აჩვენებს, რომ 85 წელს ზემოთ მოხუცებისთვის თანდათან ხდება გარდაცვალების ადგილის გადანაცვლება სახლიდან სამედიცინო დაწესებულებებში, რომელთაგან უდიდესი წილი მოდის ჰოსპიტალებზე და მოვლის სახლებზე (Ahmad S. et al., 2005).

ინგლისში, 65 წლის ზემოთ მოსახლეობის 17% კვდება მოხუცებულთა სახლებში (სპეციალური მოვლის სახლებში) (Fowell A et al., 2008). ასეთი მოხუცების რიცხვი სავარაუდოდ კიდევ უფრო გაიზრდება მოსახლეობის მზარდ დაბერებასთან ერთად.

მრავალ მოხუცს, რომლებიც ცხოვრობენ ასეთ სახლებში, ესაჭიროებათ კომპლექსური პალიატიური მზრუნველობა, ხშირად აღნიშნებათ რა მრავლობითი, ინვალიდობის გამომწვევი ქრონიკული პერსისტული და მოპროგრესე მდგომარეობები (ინსულტი, გულის უკმარისობა, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, პარკინსონის დაავადება და დემენცია. ასევე მაღალია კოგნიტური ფუნქციის დაქვეითების, მხედველობის და სმენის გაუარესების პროცენტული წილი. ბევრ მათგანს აღნიშნება ტკივილი, რომლიც ხშირად არასათანადოდ და ზოგჯერ საერთოდ არ არის ნამკურნალები, რადგანაც არ ხდება მისი ადექვატური შეფასება კოგნიტური და სენსორული პრობლემების გამო (Gouke C et al., 2005).

სახლისგან მოშორებით ყოფნა და დამოუკიდებლობის დაკარგვა ხშირად იწვევს მათში ღირსების გრძნობის შელახვას (Hall S et al., 2009). მოხუცებულთა

სახლებში პალიატიური მზრუნველობის გასაუმჯობესებლად შემუშავებულია რიგი ღონისძიებები, რომლებიც მოიცავს: კლინიკური ექთნების მუშაობას, ჰოსპისის საწოლების გამოყენებას, განათლებას და ტრენინგს, სპეციალური გაიდლაინების შემუშავებას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს პალიატიური მზრუნველობა მოხუცებულთა სახლებში (Froggatt KA et al., 2006). ამ გაუმჯობესებისთვის კონკრეტული გეგმის შესამუშავებლად ასევე გასათვალისწინებელია ბენეფიციართა ოჯახის წევრების შეხედულებები.

მაგალითად, აშშ-ში შეერთებული შტატების ვეტერანების ჯანდაცვის ადმინისტრირების სახლში გარდაცვლილ ბენეფიციართა ოჯახის წევრების მონაწილეობით ჩატარებული კვლევის შედეგების გათვალისწინებამ მოიტანა სულიერი მხარდაჭერის 4-ჯერ გაზრდა, და ტკივილის, სუნთქვის უკმარისობის და სხვა ტანჯვის გამომწვევი სიმპტომების სიხშირის მნიშვნელოვანი შემცირება (შესაბამისად 22%, 25% და 30%-ით კლება) მომაკვდავ პაციენტებში (Vandenberg EV et al., 2006).

გერმანიაში და შოტლანდიაში ხორციელდება ინოვაციური პროგრამები პალიატიური მზრუნველობის სტანდარტების ასამაღლებლად მოხუცებულთა მოვლის სახლების პერსონალის განათლების გზით (<http://www.im-uenchen1.de/pfl/egeheime/hospizprojekt/s1/index.php?mid=1>; Hall S. et al., 2011).

დიდ ბრიტანეთში სიცოცხლის მიწურულის მოვლის პროგრამის ნაწილია მოხუცებულთა სახლებში მოვლის ოქროს სტანდარტი (Hall S. et al., 2011). ამ სტანდარტის გეგმის შემუშავებამ და იმპლემენტაციამ გაიარა რამოდენიმე ფაზა. შედეგად, აღინიშნა: 1) კრიზისული ჰოსპიტალიზაციების შემცირებული რიცხვი (12%-ით) და 2) ჰოსპიტალში გარდაცვალების შემცირება (8%-ით), ეს კი პოტენციურად უდრის ეროვნული ჯანდაცვის სერვისის დანახარჯების შემცირებას საშუალოდ 40 000 – 80 000 ფუნტ სტერლინგამდე წლის განმავლობაში, ერთ მოვლის სახლზე (Thomas K et al, 2007).

თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოხუცთა უმრავლესობას სურს მოვლა მიიღოს და შეხვდეს გარდაცვალებას საკუთარ სახლში. ამიტომაც, ბინაზე

პალიატიური მზრუნველობის სისტემის განვითარება პრიორიტეტულ სტრატეგიადაა მიჩნეული. ბინაზე პალიატიური მზრუნველობის გუნდების საქმიანობის მეტა-ანალიზი ნათლად აჩვენებს მათ ეფექტურობას (Finlay IG et al. 2002; Higginson IJ et al., 2003; Hearn J et al., 1998; Gysels M et al., 2004; Smith TJ et al., 2009). მაგალითად, დიდ ბრიტანეთში არსებობს მარია კიურის სახელობის კიბოთი დაავადებულთა მოვლის პროგრამა, რომელიც წარმოადგენს საქველმოქმედო სერვისების ერთობლიობას და მიზნად ისახავს ტერმინალური დაავადებების მქონე ადამიანების მოვლას ბინაზე (About the Marie Curie Delivering Choice Programme. London, Marie Curie Delivering Choice Programme, 2010) (Hall S. et al., 2011).

ეს პროგრამა ხორციელდება ადგილობრივ ორგანიზაციებთან პარტნიორობით და ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების მაქსიმალურად ეფექტური გამოყენებით. მისი მთავარი მოქმედი რგოლებია პალიატიური მზრუნველობის ე.წ. მობილური გუნდები და ბინაზე მოვლის ექთნები. მობილური გუნდები ემსახურება მოსახლეობას ბინაზე დღე-ღამის განმავლობაში (ამაში შედის როგორც დაგეგმილი, ასევე სასწრაფო გამოძახებით ვიზიტები), ასევე ახორციელებს ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას და კონსულტაციას პაციენტებისა და მათი მომვლელებისთვის სატელეფონო ხაზით. ბინაზე მოვლის ექთნები ახორციელებენ იმ კომპლექსური საჭიროებების მოგვარებას და მართვას, რაც აქვთ პალიატიური მზრუნველობის ბენეფიციარებს ბინაზე გაწერის შემდეგ. ამ პროექტის ამოქმედებიდან პირველივე წელს სახლში გარდაცვალების მაჩვენებელი გაიზარდა 19%-დან 23%-მდე, ყოველგვარი ზედმეტი დანახარჯების გარეშე (Addicott R et al., 2008).

სიცოცხლის მიწურულს მოხუცი (და არამართო მოხუცი) ადამიანების მთავარ ტვირთს ქმნის ფიზიკური და ფსიქოსოციალური სიმპტომები, რამაც შეიძლება ძლიერ გააუარესოს მათი სიცოცხლის ხარისხი. სიმპტომების შეფასება და მართვა, როგორც ცნობილია, წარმოადგენს პალიატიური მზრუნველობის ერთ-ერთ ყველაზე მთავარ და მოცულობით მიზანს; იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოხდეს სიმპტომების მართვა, არსებობს უამრავი მტკიცებულებაზე დაფუძნებული ლიტერატურა (Walsh D et al., 2008; Hanks G et al., 2009; Bruera E et al., 2006). მოხუც

პაციენტებს შეიძლება აღენიშნებოდეთ მრავალი სიმპტომი ერთდროულად, ამასთანავე, ერთი სიმპტომის არსებობამ შეიძლება ზეგავლენა იქონიოს სხვა სიმპტომები ინტენსივობაზე.

მოხუცთა ასაკში განსაკუთრებით მატულობს კოგნიტური ფუნქციის გაუარესება, შეუკავებლობის პრობლემები, სმენისა და მხედველობის პრობლემები, ძლიერ ხშირდება თავბრუსხვევის ეპიზოდები (Seale C et al., 1994.). ამერიკის გერიატრიის საზოგადოების მიერ შემუშავებულმა მუდმივი ტკივილის პანელმა მოხუცებში (American Geriatrics Society Panel on Persistent Pain in Older Persons. The management of persistent pain in older persons. Journal of the American Geriatrics Society, 2002) დაადგინა, რომ სახლში მოხუცების 25-50%-ს აქვს უმთავრესად ტკივილის პრობლემები, ხოლო მოხუცებულთა სახლებში კონტინგენტის 45-80%-ში სათანადოდ არ ხდება ტკივილის მართვა.

ტკივილის აღნუსხვა / შეფასება ყველაზე სანდოდ შეიძლება თვითონ იმ ადამიანების გადმოცემით, რომელთაც აღენიშნებათ ეს ტკივილი. თუმცა, მოხუცები ხშირად თავს იკავებენ ტკივილის აღნიშვნისგან, რადგანაც სწამთ რომ ეს სიმპტომები დაბერების „ბუნებრივი“ თანმხლები კომპონენტია (ძვალ-სახსროვანი პათოლოგიები, ხერხემლის პრობლემები) და არ სჯერათ, რომ შესაძლებელია ამ ტკივილის მართვა.

სენსორული და კოგნიტური გაუარესების მაღალი მაჩვენებელი მოხუც დაუძლურებულ ადამიანებში კიდევ უფრო აძნელებს ტკივილისა და სხვა სიმპტომების შეფასებას. მიუხედავად ამისა, არსებობს მწვავე კოგნიტური პრობლემების მქონე ადამიანებში ტკივილის შეფასების ეფექტური მეთოდები. დემენციის პროგრესირების გამო, არავერბალური რეაქციები უფრო მნიშვნელოვან როლს იკავებს ტკივილის შეფასებაში.

მაგალითად, ვისკონსინში (აშშ) შემუშავებულ იქნა დემენციის მქონე პაციენტში დისკომფორტის შეფასების პროტოკოლი, რომელიც წარმოადგენდა ტკივილის მართვის ფართომასშტაბიანი პროექტის ნაწილს. განხორციელდა ექთნების ტრენინგი ტკივილის შეფასებასა და ანალგეზიურ ფარმაკოლოგიაში მოხუცებულთა სახლის კოგნიტურად დაქვეითებულ ბენეფიციარებში, ახალი

პროტოკოლი კი ჩართული იქნა ამ დაწესებულებაში გამოყენებული პროცედურების სიაში. პროტოკოლის გამოყენების შედეგად აღინიშნა გეგმის მიხედვით დანიშნული ანალგეტიკების მოხმარების და არა-ფარმაცევტული ჩარევების გაზრდილი მაჩვენებელი და ტკივილის მართვის საგრძნობი გაუმჯობესება (Kovach CR et al. 1999).

მიუხედავად იმისა, რომ მოხუცები უფრო მგრძნობიარენი არიან წამლის უარყოფითი ეფექტების მიმართ, მათში უსაფრთხოდ და ეფექტურად შეიძლება იქნას გამოყენებული ანალგეზიური მედიკამენტები (American Geriatrics Society Panel on Persistent Pain in Older Persons. The management of persistent pain in older persons. Journal of the American Geriatrics Society, 2002). ამასთანავე, მრავალი მედიკამენტის მოხსნა შესაძლებელია ავადობაზე და სიცოცხლის ხარისხზე განსაკუთრებული ეფექტის მოხდენის გარეშე (Garfinkel D et al., 2007; Garfinkel D.. 2009).

ნაჩვენებია, რომ მრავლობითი მედიკამენტური მკურნალობა მოხუცებში ზრდის წამლებს შორის ურთიერთქმედების უარყოფით ეფექტებს და წამლის გვერდითი მოვლენების შედეგად გამოწვეული ჰოსპიტალიზაციების რიცხვს. ასეთი „პოლიფარმაციის“ დროს ხშირად უფრო მეტი წამალია დანიშნული, ვიდრე ეს კლინიკურად ნაჩვენებია (Garfinkel D. 2009); ზოგჯერ ხდება, რომ ყველა დანიშნული წამალი კლინიკურად ნაჩვენებია, თუმცა მათი რაოდენობა იმდენად დიდია, რომ ძნელია ყველას ერთად მიღება.

ისრაელში შემუშავებულ იქნა თანამედროვე მიდგომები (პროცედურები) მედიკამენტური თერაპიის გასაუმჯობესებლად დაუძღვრებულ მოხუც პაციენტებში. ყოველი კონკრეტული პაციენტის შემთხვევაში, ხდება თითოეული მედიკამენტის თავიდან შეფასება იმის გადასაწყვეტად, უნდა მოხდეს თუ არა იგივე დოზით მისი გაგრძელება, დოზის შემცირება თუ მისი საერთოდ შეწყვეტა. გადაწყვეტილების მიღება ხდება მტკიცებულებაზე დაფუძნებული მონაცემების გამოყენებით როცა ეს შესაძლებელია, ხოლო სხვა შემთხვევაში კი გადაწყვეტილება ეფუძნება კლინიკურ მსჯელობას. ამ მიდგომის გამოყენებამ შედეგად მოიტანა ის, რომ თითოეულ პაციენტზე საშუალოდ 2.8 მედიკამენტი იქნა მთლიანად მოხსნილი, რასაც არ ეხლდა რაიმე მნიშვნელოვანი უარყოფითი ეფექტები. საგრძნობლად

შემცირდა სიკვდილიანობის და ინტენსიური თერაპიის დაწესებულებებში მიმართვიანობის მაჩვენებელი, ისევე როგორც წამლების დანახარჯები (Garfinkel D et al., 2007).

წამლის მოხსნის იგივე პრაქტიკა და ალგორითმი უსაფრთხო და ეფექტური აღმოჩნდა ბინაზე მცხოვრებ მოხუცებშიც: წამლების რაოდენობის 47% იქნა მოხსნილი (საშუალოდ 3.7 ± 2.5 მედიკამენტი კვლევის თითო მონაწილეზე). მოხუცების და მათი ოჯახების 80%, რომლებშიც წამლები იქნა შეჩერებული, აღნიშნავენ ჯანმრთელობის მდგომარეობის, ფუნქციური სტატუსის, მენტალური და კოგნიტური მდგომარეობის ზოგად გაუმჯობესებას (Garfinkel D et al., 2007; Garfinkel D. 2009).

ამრიგად, სიმპტომ-სპეციფიური ჩარევა წარმოადგენს მოხუცებში პალიატიური მზრუნველობის მნიშვნელოვან ნაწილს, რადგან იგი ემსახურება სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებას, თუმცა ამ დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ამ სიმპტომთა მრავალფეროვნება, მათი ურთიერთკავშირი და მათი მართვის (მედიკამენტური თუ არა-მედიკამენტური) თავისებურებანი მოხუცთა ასაკში, რათა თავიდან იქნას აცილებული ზედმეტი მედიკამენტების დანიშნით გამოწვეული უარყოფითი გვერდითი მოვლენები (ხშირ შემთხვევაში ნაკლები ნიშნავს უკეთესს, რაც კვლევებითაც იქნა დადასტურებული).

მასაჩუსეტში (აშშ) 2003 წელს ჩატარდა კვლევა, რომელიც აფასებდა ჯანმრთელობის სტატუსის და სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ურთიერთკავშირს 70 წლის ასაკისთვის, ასევე კუმულაციურ ჯანდაცვის დანახარჯებს 70 წლის ასაკიდან გარდაცვალებამდე (Lubitz J et al., 2003).


აღმოჩნდა, რომ მოხუცებს ჯანმრთელობის უკეთესი მდგომარეობით და უფრო ხანგრძლივი სიცოცხლის პროგნოზით, გარდაცვალებამდე კუმულაციური ჯანდაცვის დანახარჯები ისეთივე ჰქონდათ, როგორც ჯანმრთელობის უარესი სტატუსის მქონე მოხუცებს - სიცოცხლის ხანგრძლივობის უარესი პროგნოზით: 70 წლის ასაკის პირისათვის, რომელსაც არ აღენიშნებოდა არანაირი ფუნქციური შეზღუდვა და რომლის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა შეადგენდა 14.3

წელს, სავარაუდო ჯანდაცვის ჯამური დანახარჯები აღწევდა \$136 000-ს; იმავე ასაკის პირისათვის, სულ მცირე, ერთი აქტივობის შეზღუდვით (იგულისხმება ყოველდღიური აქტივობები), რომლის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობაც შეადგენდა 11.6 წელს, მოსალოდნელი ჯანდაცვის ჯამური დანახარჯები აღწევდა \$145 000-ს. იმავე ასაკის ჰოსპიტალიზებულ პირთა ჯამური დანახარჯები გაცილებით მაღალი იყო.

ყოველივე ზემოთთქმულის გათვალისწინებით, დღეს მიმდინარეობს მოხუცთა პალიატიური მზრუნველობის ისეთი მოდელების შემუშავება, რომელიც ფოკუსირდება სერვისების მიწოდებაზე იმ პაციენტებისთვის, რომლებიც ცხოვრობენ სახლში, აქვთ სერიოზული დაავადება, მაგრამ არ წარმოადგენენ ელექტიურ კანდიდატებს ჰოსპისში გადაყვანისათვის (Gomes B, Higginson IJ, 2006).

ეს მოდელები მოიცავს: 1) ამბულატორიულ საკონსულტაციო კლინიკებს (Rabow MW et al, 2004; Temel JS et al, 2010), რომლებშიც ინტერდისციპლინური გუნდები უზრუნველყოფენ პალიატიური მზრუნველობის სფეროში მკურნალი ექიმებისთვის კონსულტაციების ჩატარებას; 2) ბინაზე მოვლის ინტერდისციპლინურ სერვისს, რომელსაც ახორციელებს სერტიფიცირებული სამსახურები ან ჰოსპისები (Center to Advance Palliative Care. Hospital hospice partnerships in palliative care: creating a continuum of service. National Hospice and Palliative Care Organization; Falls Church, VA: 2001.), ჰოსპიტალთან ასოცირებული გუნდები, რომლებიც უზრუნველყოფენ ექიმის ვიზიტებს ბინაზე (Smith KL et al, 2006).

საქართველოს პალიატიური მზრუნველობის ეროვნული ასოციაციის მიერ შემუშავებულია ქვეყანაში პალიატიური მზრუნველობის განხორციელების მოდელი, რომელიც პრაქტიკულად ითავსებს ყველა ჩამოთვლილს, და რომლის ძირითად (საბაზისო) რგოლს წარმოადგენს პალიატიური მზრუნველობის სპეციალისტთა მობილური გუნდი. ასეთი გუნდი შეიძლება არსებობდეს დამოუკიდებლად, როგორც ინტერინსტიტუციური რგოლი, მაგრამ უმჯობესია, თუ ის იარსებებს პალიატიური მზრუნველობის სტაციონარულ ერთეულთან და დაკომპლექტებული იქნება ამ ერთეულის პერსონალით (სურათი 3):



სურათი 3: ქვეყანაში პალიატიური მზრუნველობის განხორციელების მოდელი

(მოტანილია პალიატიური მზრუნველობის პირველ საერთაშორისო სიმპოზიუმზე „პალიატიური მზრუნველობის ჯანდაცვითი და საუნივერსიტეტო მდგენელების - სამედიცინო მომსახურების, განათლებისა და კვლევის ინტეგრაციისთვის“ (2015 წ.) წარმოდგენილი მოხსენებიდან)

მოხუცთა პალიატიური მზრუნველობის განმახორციელებელთა განათლების თავისებურებანი

უკვე სადავო აღარაა ის ფაქტი, რომ განათლება პალიატიური მზრუნველობის მიწოდების მთავარი კომპონენტია. მოხუცთა კომპლექსური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად საჭიროა სწავლისა და კომუნიკაციისადმი ინტერპროფესიული, მულტიდისციპლინური მიდგომა (Hall S., 2011).

გაერთიანებულ სამეფოში, შეფილდის რეგიონში, აკადემიურმა მკვლევარებმა და მოხალისე მოხუცებმა (ისინი ასრულებდნენ სათემო მრჩევლების /community adviser/ როლს), მოამზადეს საგანმანათლებლო ბუკლეტი, რომელიც პალიატიურ

მზრუნველობასთან დაკავშირებულ ეთიკურ და იურიდიულ, ასევე გარდაცვალებასთან და გლოვასთან დაკავშირებულ საკითხებს. ჩატარდა პალიატიური მზრუნველობის განმახორციელებელთა 3-დღიანი ტრენინგი. მოხუცებმა ძლიერ დადებითი შეფასება მისცეს ასეთ წამოწყებას, რადგანაც გათვალისწინებული იქნა თვით მოხუცთა აზრი მათზე მზრუნველობის განხორციელების დაგეგმვისას (Sanders C et al. 2006).

ამრიგად, ზემოთ მოყვანილ მაგალითები უჩვენებს, მოხუცთა პალიატიური მზრუნველობა შესაძლებელია წარმატებით იქნას ინტეგრირებული ჯანდაცვის სისტემის ყველა დონეზე (ჰოსპიტალურ, ამბულატორიულ, მოხუცებულთა სახლში თუ ბინაზე მოვლის სექტორში), ამგვარი ინტეგრაციის ხარჯთეფექტურობა კი დადასტურებულია კვლევებით (Lubitz J et al., 2003; Addicott R et al., 2008; Thomas K et al., 2007). გერიატრის, გერონტოლოგის და მოხუცთა პალიატიური მზრუნველობის საკითხებზე განათლება კი უნდა გახდეს ნებისმიერი სამედიცინო კურიკულუმის აუცილებელი / სავალდებულო ნაწილი (Hall S., 2011), რადგან მის გარეშე შეუძლებელია ხარისხიანი მოვლის უზრუნველყოფა ამ პაციენტებისთვის.


პალიატიური მზრუნველობის და სიცოცხლის გამახანგრძლივებელი მოვლის პარალელური მოდელი

პალიატიური მზრუნველობის ოპტიმალური მოდელი მოიაზრებს პალიატიური მზრუნველობისა და სიცოცხლის გამახანგრძლივებელი / შემანარჩუნებელი თერაპიების პარალელურ რეჟიმში მიწოდებას; ამავდროულად, ამ ჩარევათა ურთიერთთანაფარდობა და ბუნება იცვლება პაციენტის საჭიროებებისა და მისი არჩევანიდან გამომდინარე (Lynn J, Wilkinson AM., 1998; Lynn J., 2001; Lynn J., 2000; Eng C et al., 1997). ხანშიშესული ზრდასრულების 75%-ში, რომლებიც ცხოვრობენ მძიმე დაავადებით (სიმსივნის გარდა), სიცოცხლის გამახანგრძლივებელ და პალიატიურ ჩარევებს შორის განსხვავება ხშირად ილუზორულია. მაგალითად, გულის შეგუბებითი უკმარისობის დროს მკურნალობა შარდმდენებით,

დიგიტალისით, ოპიატებით და ჟანგბადით არის როგორც სიცოცხლის გამახანგრძლივებელი ისე პალიატიური მკურნალობა, რომელიც იძლევა სიმპტომების შემსუბუქებას. იმავე სახის მონაცემები აღინიშნება ფილტვის ქრონიკული დაავადების, თირკმლის დაავადების ბოლო სტადიისა და პროგრესირებადი დემენციის მქონე პაციენტების მკურნალობა/მზრუნველობის დროსაც (Lynn J, Adamson DM, 2003).

სიცოცხლის შემანარჩუნებელი და პალიატიური მზრუნველობის ამგვარი პარალელური მოდელი გამოხატულია გრაფიკული სახით მე-4 სურათზე:

სურათი 4: სიცოცხლის შემანარჩუნებელი და პალიატიური მზრუნველობის პარალელური მოდელი



ამ დაავადებების მიმდინარეობის გვიან სტადიაზე, როდესაც სიცოცხლის გამახანგრძლივებელი მკურნალობის გაგრძელების უარყოფითი ტვირთი გადაწონის მის სარგებელს, მოვლის მიზნები შესაძლოა შეიცვალოს უპირატესად და მხოლოდ და მხოლოდ პაციენტის კომფორტის უზრუნველყოფის და ოჯახის წევრი მომვლელების პრაქტიკული და ემოციური მხარდაჭერის სასარგებლოდ. ამასთანავე, ეს მხარდაჭერა, დადმავალი კურსით გრძელდება გარდაცვალების შემდეგაც

ეთიკური კომისია და გაიდლაინები

უკანასკნელ ხანს, ისეთი საკითხების დატვირთვის გააზრებამ, როგორცაა პაციენტის უფლებები, მოსახლეობის დაბერება და უახლესი სამდიცინო ტექნიკის განვითარება, უფრო ინტენსიური გახადა ჯანდაცვის პროვაიდერებსა და მოხუც პაციენტებს/მათ ოჯახებს შორის ურთიერთობა.

მოწოდებულია ხაზგასმული რეკომენდაცია, რომ ყოველ დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს მომაკვდავი პაციენტების მოვლას, ევალება დააფუძნოს საკუთარი ეთიკური კომისია მესამე მხარის მონაწილეობით, სადაც განხილული იქნება პაციენტის მოვლის და გამოყენებული სამედიცინო პრაქტიკის სათანადოობა. ჯანდაცვის პროვაიდერები ახლა უფრო მეტად ხვდებიან პრაქტიკაში იმ ეთიკურ საკითხებს, რომლებიც უკავშირდება გარდაცვალებას და პალიატიურ მზრუნველობას (Oberle K, Hughes D, 2001).

მიუხედავად ამისა, ინსტიტუციური ეთიკური კომისიები ჯერ კიდევ არ არის ფართოდ განვითარებული. მაგალითად, იაპონიაში, აღმოჩნდა, რომ ექთნების უმრავლესობა არჩევდა განეხილა ეთიკური საკითხები პროცესის უშუალო მონაწილეებთან ან სიტუაციის სრულიად არმცოდნე გარეშე პირებთან, ვიდრე მიემართათ ეთიკური კომისიის კონსულტაციისთვის (Nakao et al., 2003). კვლევამ ასევე აჩვენა, რომ იაპონიის ჰოსპიტლებში მოფუნქციე ეთიკური კომისიების რაოდენობა ძალიან ცოტაა (Hirakawa et al., 2007c).

ეთიკური საკითხების განხილვისთვის არსებობს უამრავი მეთოდი, როგორცაა მაგ. „მოსალოდნელი მოვლენების/შედეგების ცხრილი“ როგორც ეს აღნიშნულია „კლინიკურ მედიცინაში ეთიკური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკულ სახელმძღვანელოში“ (Jonsen et al., 2002).

ჰიგუჩისა და კოლეგების მიერ შემუშავებულია გარდაცვალების კონფერენციის ფორმების პაკეტი, რომელიც მოიცავს სპეციალურ ინფორმაციულ ბუკლეტებს/ფორმებს მოხუცი პაციენტისა და მათი ოჯახის სურვილების, მზრუნველობის მხარდაჭერის, სამედიცინო მოვლის და მოვლის მენეჯმენტის შესახებ (Higuchi et al., 2010).

აპრობირებული და დამტკიცებული პალიატიური მზრუნველობის გაიდლაინების მიხედვით პროცესის სტანდარტიზაცია მოხუც პაციენტებში ამცირებს ეთიკური საკითხებთან დაკავშირებულ სტრესს. ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული „სიცოცხლის მიწურულს გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაიდლაინები“ გამოყოფს შემდეგ საკვანძო კომპონენტებს: 1) გუნდური მიდგომა 2)

პაციენტების სურვილების განხილვა და დადასტურება, მათთან ერთად 3) ოჯახსა და მზრუნველობის გუნდს შორის დისკუსია (იმ შემთხვევაში, თუ პაციენტის სურვილი გაურკვეველია) (Shimizu, 2009).

პალიატიური მზრუნველობის არჩევანის წინასწარ განხილვა და შეთანხმება მოხუც პაციენტსა და მის ოჯახთან ერთად ამცირებს ექიმისა და ოჯახის წევრების შემდგომ მენტალურ სტრესს, რაც უკავშირდება გადაწყვეტილების მიღებას. ამჟამად უფრო და უფრო მეტი იაპონელი ირჩევს შორსწასული ეტაპის დაგეგმვას, განსაკუთრებით რაც შეეხება სიცოცხლეში ანდერძის დაწერას, თუმცა არ არსებობს კანონმდებლობა რომელიც აღიარებს ასეთ ლეგალურ დოკუმენტებს (Masuda et al., 2003). თუმცა, არსებობს რამოდენიმე პრობლემა შორსწასული დირექტივების გამოყენებასთან დაკავშირებით. პირველი ის, რომ მოხუცი პაციენტის სურვილი შეიძლება შეიცვალოს, ან მათ შეიძლება თავი შეიკავონ გადაწყვეტილების მიღებისგან. ჰატორი და კოლეგებმა ასევე აღნიშნეს, რომ მოხუცი პაციენტების სურვილი შესაძლოა ადვილად შეიცვალოს სხვა ადამიანების განწყობების გათვალისწინების გამო (Hattori et al., 2005). მეორე მიზეზია ის, რომ იაპონიაში ადამიანები ტრადიციულად თავს არიდებენ (არ სიამოვნებთ) გარდაცვალებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას, რაც ტაბუდადებულ თემად აღიქმება (Okuno et al, 1999).

გარდა ამისა, იაპონიის გერიატრიული მზრუნველობის სერვისების დაწესებულებები (2007) და სხვა ავტორებიც (Tsuruwaka and Semba 2010) აღნიშნავენ, რომ პალიატიური მზრუნველობის ან სიცოცხლის შემანარჩუნებელი მკურნალობის არჩევანის განხილვა პაციენტის შემოსვლისას ფსიქოლოგიურად მძიმე ტვირთია მომვლელი პერსონალისთვის.

დამატებითი ფაქტორია ის, რომ ექიმის განმარტებები შორსწასული ეტაპის დირექტივებზე ძლიერ ზეგავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე მოხუცი პაციენტებისა და მათი ოჯახებისთვის. კვლევაში, რომელიც მიზნად ისახავდა იმ ფაქტორების დადგენას, რაც ზეგავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გულ-ფილტვის რეანიმაციასთან (CPR) და ჰოსპიტალიზაციის

ჩვენებასთან დაკავშირებით გახანგრძლივებული მოვლის დაწესებულებაში (Hirakawa et al., 2007a) აღმოჩნდა, რომ ოჯახები, რომელთაც მიეწოდებოდათ ინფორმაცია შორსწასული დირექტივების შესახებ, უფრო ხშირად ირჩევდნენ ამ ორ უკანასკნელ ჩარევას. აქედან გამომდინარე, საჭიროა სტანდარტული მეთოდების შემუშავება, რომელიც ნათლად აუხსნის პაციენტსა და მის ოჯახს სიცოცხლის მიწურულს მოვლის დაგეგმვის პრინციპებს გახანგრძლივებული მზრუნველობის დაწესებულებაში მიყვანისთანავე.

მეოთხე ფაქტია ის, რომ მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლეში ანდერძის დაწერა და შორსწასული ეტაპის დაგეგმვა თანდათან იძენს პოპულარობას, მაინც პაციენტთა მხოლოდ მცირე რაოდენობას თუ სურს რომ რეალურად შეადგინოს ოფიციალური დოკუმენტი.

სხვა კვლევები ასევე აჩვენებს, რომ უმრავლესობას არ სურს მკურნალობის კონკრეტული გეგმის შედგენა და კმაყოფილდება ზოგადი ინსტრუქციებით სიცოცხლის მიწურულის შესახებ (Akabayashi et al., 1997; Hirakawa et al., 2006b).

სიკვდილის და კვდომის ფსიქოლოგიური ფილოსოფიური და რელიგიური აპექტები, მათი აღქმა ხანდაზმულ პაციენტებში

სიტყვა „პალიატიური“-ს და „ჰოსპისი“-ს ეტიმოლოგია („პალიუმ“ - ნიღაბი, ლაბადა, საფარველი (ფრანგ); „ჰოსპისი“ - მისაღები, მოსასვენებელი სახლი (ფრანგ. ლათ) მიუთითებს თავად მის მიზანზე, უზრუნველყოს ადამიანის საჭიროებათა პირამიდაში ასახული მოთხოვნების დაკმაყოფილება. ეს ეხება ძირითადად უსაფრთხოების, დაცულობის უზრუნველყოფას და იმ ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილებას, რაც მოცემულია მასლოუს პირამიდის პირველ საფეხურზე (Zalenski RJ et al, 2006).

როდესაც ვიყენებთ მასლოუს პირამიდას ჰოსპისსა და პალიატიურ მზრუნველობაში, არ ვკამათობთ იმაზე, რომ ეს იერარქია უნივერსალურია (ერგება ყველას) თუ ნაკლებ მოქნილი, იმ მხრივ, რომ შედარებით მაღალი საფეხურის მოთხოვნები ვერ იქნება დაკმაყოფილებული, თუ მანამდე არ არის

უზრუნველყოფილი დაბალ საფეხურზე მყოფი საჭიროებები. არსებობს მოსაზრება, რომ მასლოუს სქემის გამოყენებით, შესაძლებელია პაციენტზე ორიენტირებული მოვლის უკეთ სტრუქტურირება (Zalenski RJ et al, 2006; Brownie S, Nancarrow S., 2013). ეს იერარქია წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ რა შეიძლება იყოს უფრო ურგენტული მოთხოვნა, ასევე გვეხმარება ლოგიკური მიდგომის პოვნაში, თუ როგორ იქნებოდა უმჯობესი პაციენტის პრობლემებისა და საჭიროებების მოგვარება. მაგალითად, უადგილოა ვილაპარაკოთ ადამიანურ ღირებულებებსა და ტრანსცენდენტულობაზე იმ ადამიანთან, რომელსაც აქვს ტკივილი, შიში ან სოციალური გაუცხოება, რაც პირველ რიგში არის მოსაგვარებელი. თუმცა, მეორეს მხრივ, ასეთი დისკუსიები შეიძლება გახდეს საჭირო მანამდე, ვიდრე მთლიანად მოხსნილი იქნება ყველა ფიზიკური ტკივილის წყარო (Zalenski RJ et al, 2006; Devlin AS, Arneill AB, 2003).

ლოგიკურია, რომ ფიზიკური ტკივილის მოხსნა საბაზისო ფიზიოლოგიური ფუნქციების კორექცია წარმოადგენს პირველად საჭიროებას. ქრონიკული ფატალური დაავადების გამანადგურებელი და დამაინვალიდებელი ეფექტები მოითხოვს საჭიროებათა მოდიფიცირებული იერარქიის გამოყენებას. გავრცელებული კიბო, მულტიორგანული უკმარისობა ან ტერმინალური დაუძლურება - ყველა მათგანი წარმოადგენს მდგომარეობას, რომელიც ემუქრება ადამიანის ყველაზე ბაზისურ უნარებს - მადის და საკვების მიღების სურვილის გამოხატვას ზოგადად, ტკივილისა და უძლურების აღქმას, საკუთარი თავის საზოგადოების სრულფასოვან წევრად ცნობას. ეს საფრთხეები იწვევს ბაზისური ბიოლოგიური და უსაფრთხოების მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობას (Zalenski RJ et al, 2006).

მეორე დონის საჭიროებები წარმოადგენს პიროვნების უსაფრთხოებისა და სოციალურ მოთხოვნებს. როდესაც ისინი დაუკმაყოფილებელია, ჩნდება გაუცნობიერებელი შიშები, აგზნება, უძილობა. შიშები შეიძლება წარმოდგენილი იყოს ფართო სპექტრით - დავარდნის შიშიდან - გარცვალების შიშამდე, რაც მოიცავს როგორც ფიზიკურად ამ პროცესის თანმხლები მოვლენების შიშს, ასევე ეგზისტენციურ საკითხებს. მასლოუს იერარქია შეგვახსენებს, რომ სანამ ეს

უკანასკნელი არ იქნება მოგვარებული, არ შეიძლება იყოს ლაპარაკი სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ან ამ იერარქიის უფრო მაღალ დონეზე განლაგებული საჭიროებების დაკმაყოფილებაზე (Zalenski RJ et al, 2006).

სამკურნალო პრეპარატების ბიოტრანსფორმაცია, ანუ ადამიანის ორგანიზმის მეტაბოლიზმში ჩართვა ხორციელდება ღვიძლის მიკროსომული ფერმენტების საშუალებით (Katzung BG et al., 2004). ასაკთან დაკავშირებით ღვიძლის პარენქიმა ატროფირდება, ქვეითდება მიკროსომული ფერმენტების აქტივობა და რაც მთავარია მცირდება ღვიძლის ანტიტოქსიკური ფუნქცია. ზემოაღნიშნულმა შესაძლებელია გამოიწვიოს ნახევრად დაშლილი სამკურნალო პრეპარატის ნივთიერებების დაგროვება ორგანიზმში. ამასთანავე, ასაკის მატებასთან ერთად მცირდება სისხლის მიდინება თირკმელებისაკენ, შესაბამისად, ქვეითდება მათი ფილტრაციის ფუნქცია, მცირდება სრულფასოვნად მოფუნქციონირე ნეფრონების რიცხვიც. ასეთ შემთხვევაში არცთუ იშვიათია თირკმელის წამლისმიერი დაზიანება (Corsonello A et al., 2005; Juurlink DN et al., 2003).

სამკურნალო პრეპარატების მოქმედების ეფექტი განისაზღვრება არა მარტო მათი კონცენტრაციით სისხლში, არამედ ორგანოებისა და ქსოვილების

რეცეპტორების ფუნქციური მდგომარეობით, რომელთა საშუალებითაც ვლინდება ფარმაკოლოგიური ეფექტი. ნერვული სისტემის რეცეპტორების რაოდენობრივი შემცირება ხანდაზმულ ასაკში განაპირობებს ნერვული ქსოვილის ფუნქციურ გამოფიტვას, რაც თავის მხრივ განაპირობებს მიღებული პრეპარატის რთულად პროგნოზირებად შედეგს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული რისკის შემცველია ისეთი პრეპარატები, როგორცაა საგულე გლიკოზიდები, ნიტრიტები, გლიკოკორტიკოსტეროიდები, ადრენო ბლოკატორები, ტრანკვილიზატორები, პარკინსონიზმისა და კრუნჩხვის საწინააღმდეგო საშუალებები.

ნაჩვენებია, რომ სამკურნალო პრეპარატებით გამოწვეული გართულებები 7-ჯერ უფრო ხშირია 70-79 წლის ასაკში, ვიდრე 20-29 წლის პირებში. ეს გართულებები მრავალფეროვანია, ხშირად ატიპურიც. მაგალითად, პრეპარატები – რეზერპინი, ინდომეტაცინი, კორტიკოსტეროიდები, რომლებსაც ახალგაზრდა ასაკში არ ახასიათებთ გვერდითი მოვლენები, ხანდაზმულებში იწვევს დეპრესიას.

ხანდაზმულთა ასაკში პურინული ცვლის დარღვევა, შეიძლება კიდევ უფრო გააღრმავოს ისეთმა პრეპარატებმა როგორცაა პანკრეატინი, ინოზინი, რიბოქსინი, შარდმდენები (თიაზიდი, ფუროსემიდი და სხვა.) (Puig JG et al., 1999; Johnson RJ et al., 2003).

გერიატრიულ პრაქტიკაში საკმაოდ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ნეიროლეპტიკებით გამოწვეული ე.წ. "წამლისმიერი პარკინსონიზმი", რომლის სიხშირე კლინიკებში თითქმის 50%-ს აღწევს. ნეიროლეპტიკები კი, როგორც საძილე, ისე დასამშვიდებელი საშუალებები, სამწუხაროდ, დღესაც უკონტროლოდ გამოიყენება მოხუცებში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხანდაზმულ ავადმყოფთა მკურნალობის დროს ფართოდ გამოიყენება კომპლექსური (პოლი-) თერაპია, როდესაც ექიმები ნიშნავენ სხვადასხვა სამკურნალო პრეპარატებს და სამწუხაროდ მხედველობაში არ იღებენ იმ ფაქტს, რომ ამ დროს იზრდება წამალთა ურთიერთქმედების არასასურველი რეაქციები, ვინაიდან, სამკურნალო პრეპარატები, მეტაბოლიზმის ყველა ეტაპზე (შეწოვა, განაწილება, მეტაბოლიზმი, ექსტრაქცია) ურთიერთმოქმედებს, რაც

განაპირობებს არაპროგნოზირებად გართულებებს. ასაკობრივი ფარმაკოლოგიის მოთხოვნების წარმოდგენილი, თუნდაც ზედაპირული ანალიზი მკაფიოდ წარმოაჩენს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში სრულყოფილი გერიატრიული სამსახურის შექმნის აუცილებლობას. ამისათვის უნდა მომზადდეს სპეციალისტები სამედიცინო განათლების ყველა დონეზე, სახელმწიფო უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებში უნდა გაიხსნას გერონტოლოგიისა და გერიატრიის კათედრები. სპეციალობათა ნუსხაში შეტანილ იქნას გერონტოლოგიისა და გერიატრიის სპეციალობა, საავადმყოფოებში შეიქმნას გერიატრიული განყოფილებები, ხოლო პოლიკლინიკებში გერიატრიული კაბინეტი, შეიქმნას მოხუცთათვის დღის სტაციონარები და ბინაზე მოვლის პალიატიური სამსახური.

საქართველოში ხანდაზმული ასაკის მოსახლეობის სრულფასოვანი სამედიცინო მომსახურების მიზნით, სამედიცინო განათლების ყველა დონეზე აუცილებელია ზოგადი გერონტოლოგიისა და გერიატრიის სასწავლო პროგრამის დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში მცხოვრებ უფროსი ასაკის მოსახლეობაში დაავადებათა პრევენციის და კვალიფიცირებული სამედიცინო მომსახურებისა და პალიატიური მზრუნველობის სისტემის ჩამოყალიბებას.

2. მოპროგრესე განუკურნელი ქრონიკული დაავადებით შეპყრობილ ხანდაზმულ პაციენტთა მკურნალობა/მზრუნველობის მიმართ ამ პაციენტთა ოჯახის წევრების მოთხოვნებისა და დამოკიდებულებების გამოკვლევა და სისტემატიზაცია.

ქრონიკული ინკურაბელური დაავადებების მქონე მოხუცებულთა ოჯახის წევრების შეხედულებები კრიტიკული და ინტენსიური თერაპიის განყოფილებებში ამ მოხუცთა მკურნალობის პროცესში ექიმებთან კომუნიკაციის თაობაზე

შედეგები:

კვლევაში მონაწილეობა მიიღო კრიტიკული/ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში სერვის-მიღებული ქრონიკული ინკურაბელური დაავადებით

შეპყრობილი 20 ხანდაზმული პაციენტის 27-მა ოჯახის წევრმა. პაციენტთა სქესი, ასაკი და დიაგნოზები მოცემულია ცხრილში (ცხრილი #1). 27-ივე პირმა შეავსო თანდართული კითხვარი (კითხვარი #1). კითხვარის შედგენის პრინციპი და მისი შევსების მეთოდი აღწერილია თავში „კვლევის მასალა და მეთოდები“.

შევსებული კითხვარები დამუშავდა და დახარისხდა (კლასიფიცირდა) კვლევის მასალასა და მეთოდებში აღწერილი წესით და შედგენილი იქნა ცხრილი, როგორც აბსოლუტური, ისე პროცენტული მაჩვენებლების ჩვენებით (ცხრილი 7).

ცხრილი 7: პაციენტის ოჯახის წევრების აღწერილობითი სტატისტიკა

პაციენტის პასუხები	არასოდეს/ იშვიათად/ არაღამაკმა ყოფილბ ლად	მეტ/ნაკლებად	ხშირად/ ყოველთვის/ დამაკმაყოფ ილებლად	არ ვიცი
	n (%)	n (%)	n (%)	n (%)
თქვენ, როგორც ოჯახის წევრს, გესაუბრებოდათ თუ არა ექიმი პაციენტთან დაკავშირებულ ისეთ დეტალებზე, რომელიც ეხებოდა პაციენტის შესაძლო მდგომარეობის გაუარესებას?	5 (18,5)	9 (33,3)	13 (48,1)	0
ექიმი გატყობინებდათ თქვენ, როგორც პაციენტის ოჯახის წევრს, პაციენტის სავარაუდო სიცოცხლის ხანგრძლივობის თაობაზე?	8 (29,6)	9 (33,3)	10 (37,0)	0
არჩევდა თუ არა ექიმი თქვენთან, თუ როგორ შეიძლება დადგეს პაციენტის სიკვდილი?	12 (44,4)	11 (40,7)	4 (14,8)	0
ათანხმებდა თუ არა ექიმი თქვენთან გადაწყვეტილებას მკურნალობის შემდგომი ტაქტიკის თაობაზე (მართვით სუნთქვაზე შესაძლო გადაყვანა, ან სხვა)?	4 (14,8)	7 (25,9)	16 (59,3)	0
გესაუბრებოდა თუ არა ექიმი იმ ცხოვრებისეულ თემებზე, რომლებიც დაკავშირებულია	13 (48,1)	7 (25,9)	6 (22,2)	1 (3,7)

მნიშვნელოვანია პაციენტისათვის და თქვენთვის?				
გესაუბრობოდათ ექიმი პაციენტის რწმენაზე (სარწმუნოებაზე)?	21 (77,8)	4 (14,8)	2 (7,4)	0
ექიმი პატივს სცემდა თქვენი და პაციენტის სულიერ განწყობას და რელიგიურობას?	14 (51,9)	4 (14,8)	2 (7,4)	7 (25,9)
	ძალიან უძნელდე ბოდა	საშუალოდ/რამდენადმე	არ უძნელდებოდა	არ ვიცი
ექიმს უჭირდა თუ არა თქვენთან პაციენტის სიკვდილზე ლაპარაკი?	2 (7,4)	13 (48,1)	11 (40,7)	1 (3,7)
	უარყოფითად	საშუალოდ	დადებითად	არ ვიცი
ზოგადად როგორ შეაფასებდით ექიმის და ოჯახის წევრის კომუნიკაციას?	6 (22,2)	14 (51,9)	7 (25,9)	0

კითხვებზე პაციენტის ოჯახის წევრების პასუხების ანალიზმა აჩვენა, რომ გამოკითხულები, მნიშვნელოვანწილად არ არიან კმაყოფილი ექიმებთან თავიანთი კომუნიკაციის ხარისხით. მას დადებითად აფასებს მხოლოდ 25,9 %. ასეთი შეფასების მიზეზად შეიძლება განიხილებოდეს ის, რომ გამოკითხულთა 51,8% მიიჩნევს რომ ექიმები „არ“- ან „მეტ-ნაკლებად“ განიხილავდნენ მათთან პაციენტის მდგომარეობის შესაძლო გაუარესებას; მხოლოდ 37,0 % -მა დაადასტურა, რომ ექიმებმა მათთან ხშირად/ყოველთვის (ანუ ადეკვატურად) განიხილავდნენ საკითხს იმის თაობაზე, თუ როდის და როგორ შეიძლება მომხდარიყო პაციენტის გარდაცვალება; 63 %-ში კი, პაციენტის ოჯახის წევრების შეფასებით, მათთან აღნიშნული საკითხის თაობაზე კომუნიკაცია არასრულფასოვანი იყო. ამასთანავე, პაციენტთა ახლობლების მხოლოდ 14,8 %-ს ჰქონდა დამაკმაყოფილებლად ახსნილი, თუ თუ როგორ შეიძლება დამდგარიყო პაციენტის სიკვდილი. პაციენტის ოჯახის წევრთა 55,5 % მიიჩნევს, რომ ექიმებს უძნელდებოდათ მათთან პაციენტის სიკვდილის თაობაზე საუბარი.

პაციენტის ოჯახის წევრთა პროცენტმა დაადასტურა, რომ ექიმებმა მათთან „ხშირად/ყოველთვის/დამაკმაყოფილებლად“ შეათანხმეს მკურნალობის გეგმა (მათ შორის, გულ-ფილტვის რეანიმაციის და/ან ხელოვნური სუნთქვის აპარატების გამოყენებას), მაშინ როდესაც გამოკითხულთა 14,8 %-ს ასეთი თანამშრომლობას არადააკმაყოფილებლად აფასებს.

პაციენტის ოჯახის წევრების ნახევარი (50.8%) აღნიშნავდა რომ ექიმი არასოდეს / იშვიათად საუბრობდა სიცოცხლესთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომლებიც ეხებოდა და/ან მნიშვნელოვანი იყო პაციენტისთვის, განსხვავებით ექიმების 10.8%-ისგან, რომლებიც აღნიშნავდნენ იგივეს Q1.6/Q2.6 ($p < 0.0001$). რაც შეეხება პაციენტის სულიერ საჭიროებებსა და რელიგიურობას, ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მომუშავე ექიმების 64.6%-მა აღნიშნა, რომ ისინი ხშირად / ყოველთვის გამოხატავდნენ ამგვარ პატივისცემას, თუმცა პაციენტის ოჯახის წევრების მხოლოდ 6.8% მიიჩნევდა რომ ეს მართლაც ასე იყო (Q1.8/Q2.8) ($p < 0.0001$).

ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში სერვის-მიღებული პაციენტების ოჯახის წევრების მხოლოდ მეოთხედი (24.8%) იყო კმაყოფილი კომუნიკაციის დონით (Q2.10). მათი უკმაყოფილების მიზეზი იყო მათი საჭიროებების და მოთხოვნების მიმართ არასათანადო ყურადღება და პატივისცემა. ამისგან განსხვავებით, ინტენსიური თერაპიის განყოფილების ექიმების 78.5% აფასებდა პაციენტების ოჯახის წევრებთან საკუთარ კომუნიკაციას დადებითად (Q1.10) (< 0.0001).

1. კრიტიკული მედიცინის და ინტენსიური თერაპიის განყოფილებები არის ის ადგილი, სადაც ამა თუ იმ მიზეზით ხვდება ხანში შესულთა და მოხუცთა მნიშვნელოვანი კონტინგენტი, მათ შორის ქრონიკული განუკურნელი დაავადებით შეპყრობილი ხანდაზმულები. ასეთ განყოფილებებში ხშირია ხანდაზმულთა გარდაცვალება. ეს მაჩვენებელი მთელს მსოფლიოში სხვადასხვაა (Bekelman JE et al, 2016), თუმცა გარდაცვლილთა შორის აშკარად სჭარბობს ხანდაზმულთა კატეგორია. წინათ, მიჩნეული იყო, რომ ძირითადი პრობლემები წარმოიშვებოდა კიბოს ტერმინალური სტადიაზე მყოფი პაციენტების კრიტიკული მედიცინის და

ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში გადაყვანის ხარჯებთან დაკავშირებით; ამავდროულად, ყოველთვის საკამათო იყო სიცოცხლის შემანარჩუნებელი თერაპიის შეჩერებასთან დაკავშირებული ეთიკური, იურიდიული და სამედიცინო-ბიოლოგიური პრობლემების გადაჭრის გზები (Vincent JL et al, 2004). ჰოსპიტალში გარდაცვალება ხშირად ხდებოდა და ხდება პაციენტის სურვილის წინააღმდეგ, რომელთაგანაც ბევრი ამჯობინებდა სახლში გარდაცვალებას (Gomes B et al, 2012; Field MJ, Cassel CK, 1997; De Roo ML et al, 2013).

სერიოზული, სიცოცხლისთვის საშიში დაავადების და ან მდგომარეობის მქონე ბევრი ხანდაზმულის მიყვანა კრიტიკული და ინტენსიური თერაპიის განყოფილებებში ხდება იმის გამო, რომ მათი სიმპტომების კონტროლი ვეღარ ხერხდება სახლში (Addington-Hall J et al, 1998; Grudzen CR et al, 2011). იმის გამო, რომ არ არსებობს პალიატიური მზრუნველობის სამსახური ზოგადად, და მოხუცთა პალიატიური სამსახური - კერძოდ, კრიტიკული და ინტენსიური თერაპიის განყოფილებებს უწევთ ჰოსპისური ტიპის დაწესებულების იძულებით „ჩანაცვლება“. ამასთანავე, თავიანთი პროფესიული ცოდნიდან და ჩვევებიდან გამომდინარე, ამ განყოფილებათა სამედიცინო პერსონალი აგრძელებს პაციენტთა „გადარჩენის“ და „მკურნალობის“ მცდელობას, მაშინაც კი, როდესაც პაციენტს მხოლოდ პალიატიური მზრუნველობა ესაჭიროება. აღნიშნულის გამო, ამ ბოლო დროს სულ უფრო და უფრო საკამათო ხდება კრიტიკული და ინტენსიური თერაპიის განყოფილებებში მოწოდებული ზოგიერთი „უშედეგობის“ ტიპის მკურნალობის საკითხი მოხუცთა კონტინგენტისათვის (Palda VA et al, 2005).

როგორც წესი, ასეთ განყოფილებაში ტერმინალური პაციენტის მოყვანის მოტივაცია მისი ოჯახის წევრებისათვის არის პაციენტის მდგომარეობის გაუმჯობესება და სიცოცხლის

გახანგრძლივება. პაციენტების ნათესავების მოლოდინები და იმედები ხშირად ზედმეტად მაღალია. გასათვალისწინებელია, რომ კრიტიკული და ინტენსიური თერაპიის ექიმებს აქვთ შეზღუდული ცოდნა და რესურსები იმ პაციენტების ადეკვატური მართვისათვის, რომელთაც ესაჭიროებათ პალიატიური მზრუნველობა.

ასევე იმისათვის, რომ პატივი სცენ პაციენტებისა და მათი ოჯახის წევრთა მოლოდინებსა და სურვილებს (Smith AK et al, 2009; Stone SC et al, 2011). მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკული და ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში ექიმები ყოველდღიურად აწყდებიან სიკვდილს, ისინი არ არიან სპეციალურად მომზადებულები ცუდი ამბის შეტყობინების ცოდნისა და ჩვევების თვალსაზრისით; ეს იმითაა გამოწვეული, რომ მათ, თავიანთი პროფესიული განათლების/განვითარების ეტაპზე არ უსწავლიათ პალიატიური მზრუნველობის თუნდაც საბაზისო კურსი, რომელიც უპირობოდ მოიცავს პაციენტებთან და მათ ახლობლებთან კომუნიკაციის ფორმებსა და ჩვევებს, „ცუდი ინფორმაციის“ მიწოდების ფორმებისა და ჩვევების ჩათვლით (Seymour JE., 2000). გარდა ამისა, ცნობილია, რომ საქართველოში ექიმები ისედაც არ გრძნობენ თავს კომფორტულად პაციენტებთან და მათ ახლობლებთან კომუნიკაციისას, როდესაც საქმე ეხება ცუდ პროგნოზს ან მკურნალობის უშედეგობას (Kordzaia D et al, Georgian National Program For Palliative Care, Action Plan for 2011 – 2015. 2011.).

დამოუკიდებლობის აღდგენის პირველსავე წლებში, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა „კანონი ჯანდაცვის შესახებ“, „კანონი პაციენტის უფლებების შესახებ“ და „კანონი სამედიცინო საქმიანობის შესახებ“; შეიქმნა ბიოეთიკის ეროვნული საბჭო; სავალდებულო გახდა პაციენტისა და მისი ოჯახის წევრებისთვის დიაგნოზისა და პროგნოზის გაზიარება. ამდენად, ახალმა ვითარებამ განაპირობა სხვაგვარი მიდგომა გარდაცვალებისადმი, როგორც სიცოცხლის ბუნებრივი დასასრულისადმი, რომელიც საჭიროებს როგორც სამედიცინო, ასევე სულიერი კუთხით სპეციალურ პაციენტის მომზადების ხელშეწყობას, ასევე მისი ახლობლების ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას.

2007 წლიდან საქართველოში პალიატიური მზრუნველობა აღიარებულ იქნა სუბ-სპეციალობად 4 სამედიცინო დარგისთვის: „შინაგანი სნეულებები“, „ქირურგია“, „ონკოლოგია“ და „რენიმატოლოგია/ინტენსიური თერაპია“. მოგვიანებით, 2014 წელს ამ სპეციალობათა ნუსხა გაიზარდა 11-მდე (<https://matsne.gov.ge/en/document/view/70162>. Accessed 21 June 2016). პალიატიურ

მზრუნველობაში საგანმანათლებლო/ტრენინგ კურსების განხორციელების მიზანი იყო, განევიტარებინა უფრო ჰოლისტიური მიდგომა მომაკვდავი პაციენტების მზრუნველობის მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სოციალური და სულიერი საჭიროებების გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში პალიატიური მზრუნველობის კონცეფციების ტრენინგების დანერგვა სულ უფრო ფართოდ ხდება, მედიცინის ბევრი მიმართულება და სპეციალობა, ინტენსიური თერაპიის (რეანიმატოლოგიის) ჩათვლით, ჯერ კიდევ შორსაა პროფესიულ პრაქტიკაში მათი სრულყოფილი ინტეგრაციისთვის.

დადასტურებულია, რომ პაციენტის გარდაუვალი (მოახლოებული) სიკვდილის გაცნობიერება იწვევს ცვლილებებს, მკურნალობის სტრატეგიასა და ტაქტიკაში რაც მოიცავს მკურნალობის მიზნების გადახედვას (დაზუსტებას), ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის გაუმჯობესებას, პაციენტებთან მეტი დროის გატარებას და უფრო ნაკლები ლაბორატორიული კვლევების დანიშნვას (Johnson DC et al, 2003). თუმცა, უკანასკნელმა კვლევამ, რომელიც ჩატარდა 2009-2010 წლებში საქართველოს 2 ქალაქში (თბილისსა და ბათუმში) აჩვენა, რომ ქართველი ექიმების დიდი რიცხვი, განსაკუთრებით ინტენსიური თერაპიის/კრიტიკული მედიცინის განყოფილებებში, პალიატიურ მზრუნველობაში მათი მწირი ცოდნის გამო, თავიანთ სამედიცინო პრაქტიკაში ბოლომდე ერთგულობენ „ტრადიციულ“ მიზნებს, რაც გულისხმობს თვით უძიედო პაციენტის „განკურნებას“ ან „სიკვდილის გადავადებას“ (Rukhadze T. et al, Report of Survey funded by “Open Society – Georgia Foundation”(unpublished data) 2010). ამან შეიძლება გამოიწვიოს პაციენტების და მათი ოჯახის წევრების უფრო ჰოლისტიური საჭიროებების უგულებელყოფა ან დაკმაყოფილების გარეშე დარჩენა.

კიბოს ბოლო სტადიაზე მყოფი 200 პაციენტიდან 29 მათგანმა (14.5%) გაატარა უკანასკნელი დღეები და საათები ინტენსიური თერაპიის პალატაში (რეანიმაციაში). ამ პაციენტების ნახევარზე მეტის ოჯახის წევრები აღნიშნავენ სხვადასხვა სახის ჩივილებს პაციენტების მზრუნველობასთან დაკავშირებით და უკმაყოფილონი იყვნენ სამედიცინო პერსონალთან კომუნიკაციის ხარისხით.

2. პაციენტების ოჯახის წევრები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ კიბოს ბოლო სტადიაზე მყოფი პაციენტის კრიტიკული და ინტენსიური თერაპიის (რეანიმაციის) განყოფილებებში გადაყვანის გადაწყვეტილების მიღებაში. ეს გადაწყვეტილებები ნაწილობრივ განპირობებულია იმით, რომ მათ არ იციან თავიანთი ახლობელის ტერმინალური მდგომარეობის შესახებ და აქვთ „გარდაცვალების გადავადების“ მტკიცე იმედით (Rukhadze T. et al, Report of Survey funded by “Open Society – Georgia Foundation”(unpublished data) 2010). იმის გამო, რომ კიბოთი დაავადებული პაციენტების დიდ ნაწილს, რომლებიც კვდებიან კრიტიკული/ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში (რეანიმაციაში), ხშირად აღენიშნებათ ცნობიერების შეცვლილი დონე (კოგნიტური ფუნქციის დაქვეითება და/ან შეცვლილი მენტალური სტატუსი, სტუპორი ან კომა), მათი ოჯახის წევრები წარმოადგენენ სუროგატ გადაწყვეტილების მიმღებებს (Luce JM., 2010). ამის გამო, ექიმებსა და ტერმინალური პაციენტის ოჯახის წევრებს შორის კარგი კომუნიკაცია, ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობისაა საუკეთესო ჰოლისტური მზრუნველობის უზრუნველყოფისთვის (Johnson DC et al, 2003).

აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა პალატიური მზრუნველობის კომპეტენციების გაუმჯობესების და/ან განვითარების მნიშვნელობა კრიტიკული/ინტენსიური თერაპიის განყოფილებებში (Morgan J., 2008; Truog RD et al, 2008). ეს გულისხმობს, ერთი მხრივ, სიმპტომების კონტროლის, ტკივილის გაყუჩების და მაქსიმალური ფიზიკური კომფორტის უზრუნველყოფის სტანდარტებს, ხოლო მეორე მხრივ, ჰუმანისტური მიზნების, ეთიკური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის უზრუნველყოფას პაციენტებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის. ამავდროულად, პალატიური მზრუნველობის მიდგომების განხორციელება ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში დაკავშირებულია სიძნელეებთან, რაც პირველ რიგში უკავშირდება სამკურნალო მიდგომიდან სიკვდილისთვის მზადებაზე უეცარი გადართვის პროცესს, რაც, თავის მხრივ, შესაძლებელია, რამოდენიმე საათიდან რამოდენიმე კვირამდე გაგრძელდეს (Truog RD et al, 2001). თუ მეორის პირობებში (რამოდენიმე

კვირა), ექიმებსა და პაციენტის ოჯახის წევრებს აქვთ დრო მკურნალობის სტრატეგიის პალატიური მზრუნველობით ჩანაცვლებისადმი ადაპტაციისათვის, პირველის პირობებში (რამოდენიმე საათი) პროცესი სტრესულად მიმდინარეობს. ასეთ ვითარებაში ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის ხარისხი კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს (Johnson DC et al, 2003).

საქართველოს ოთხ ქალაქში ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა ინტენსიური თერაპიის (რეანიმაციის) განყოფილებაში მომუშავე ექიმებისა და ამავე განყოფილებაში სერვის-მიღებული ქრონიკული ინკურაბელური დაავადებებით შეპყრობილი პაციენტების ოჯახის წევრების შეხედულებებს შორის შეუსაბამობა კომუნიკაციის საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა მაგ. პაციენტის მდგომარეობის სავარაუდო გაუარესება, მომავალი მკურნალობის გეგმა, როგორ შეიძლება მოხდეს გარდაცვალება, პაციენტის სულიერი დამოკიდებულებების და რელიგიურობის პატივისცემა. პაციენტების ოჯახის წევრების მხოლოდ ერთი მეოთხედი (23.7%) იყო კმაყოფილი კომუნიკაციის დონით. მათი უკმაყოფილების მიზეზი იყო მათივე საჭიროებების და მოთხოვნების (მოთხოვნილებების) არასათანადო პატივისცემა (უგულუბელოვანა). ამისგან განსხვავებით, ექიმების 78.5% აფასებდა პაციენტების ოჯახის წევრებთან საკუთარი კომუნიკაციის დონეს დადებითად.

ეს შეუსაბამობა მიუთითებს შემდეგზე: იმისათვის, რომ მოხდეს საუკეთესო მზრუნველობის უზრუნველყოფა ქრონიკული ინკურაბელური პაციენტებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის მაქსიმალურად ჰოლისტური გზით, ინტენსიური თერაპიის (რეანიმაციის) განყოფილების ექიმებს უნდა ჰქონდეთ როგორც შესაბამისი კლინიკური ცოდნა და უნარ-ჩვევები, ასევე პაციენტებსა და მათი ოჯახის წევრებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი.

შესამჩნევი შეუსაბამობა ერთიდაიგივე კითხვებზე პასუხებს შორის, ასევე კომუნიკაციის დონის განსხვავებული შეფასება ექიმებისა და პაციენტების ოჯახის წევრების მიერ, მიუთითებს საგანმანათლებლო ჩარევის მნიშვნელოვან პოტენციურ სამიზნეობზე, რაც მოიცავს ინტენსიური თერაპიის (რეანიმაციის) ექიმებს, რომელთა

სწავლებაც შესაძლებელია მოხდეს პალიატიურ მზრუნველობაში ონლაინ-ტრენინგის მოდულებით.

სიცოცხლის ლიმიტირებული ხანგრძლივობის გამაცნობიერებელ ისეთი "ჯანმრთელი" ხანდაზმული (85 წლისა და მეტი ასაკის) პირების ცხოვრების მიწურულის მოთხოვნილებებისა და დამოკიდებულებების გამოკვლევა და სისტემატიზაცია, რომელთა მენტალური მდგომარეობაც ადეკვატურია.

ჩვენს მიერ გამოკვლეულია 85 წლის და მეტი ხნის 20 მოხუცი, რომლებიც ინარჩუნებენ სოციალურ აქტივობას, ამასთანავე, აცნობიერებენ დარჩენილი სიცოცხლის ხანგრძლივობის ლიმიტურობას.

დასმული იქნა სამი კითხვა: "რას გვეტყვით თქვენს ცხოვრებაზე?" "რომ შეიძლებოდა რას შეცვლიდით თქვენს წარსულ ცხოვრებაში?" და "რას გეგმავთ სამომავლოდ?".

განხორციელდა ინტერვიუების აუდიოკასეტებიდან ტრანსკრიპტი და კოდირება. თითოეული ინტერვიუს მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი ფრაგმენტი ფასდებოდა აბრაამ მასლოუს "ადამიანის მოთხოვნილებათა იერარქიასთან" შესაბამისობაში და თავსდებოდა მასლოუს ხუთსაფეხურიანი პირამიდის შესაბამის დონეზე (დეტალურად იხილეთ თავში „მასალა და მეთოდები“.

შევჩერდეთ ამ პირამიდაზე:



მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩენილმა ამერიკელმა ფსიქოლოგმა აბრაჰამ მასლოუმ ეგრეთწოდებული "ადამიანის მოთხოვნილებების პირამიდა" შექმნა, რომელიც ეყრდნობოდა მრავალრიცხოვან ფსიქოლოგიურ კვლევებს.

ამ "პირამიდაში" მან დონეების მიხედვით დაალაგა ადამიანის მოთხოვნილებები. "პირამიდის" ქვედა დონეზე განთავსებულია - ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები, რომლის გარეშეც ადამიანის ბიოლოგიური არსებობა შეუძლებელია, შემდეგ კი მოდის სპექტრი სოციალური ტიპის მოთხოვნილებებიდან - პიროვნულ, სულიერ და შემეცნებით მოთხოვნილებებამდე.

ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები (ფიზიკური გადარჩენა) - თანდაყოლილი და ნიშანდობლივია ყველა ადამიანისთვის, ასეთ მოთხოვნილებებში შედის საკვები, წყალი, სამოსი, სექსი (შთამომავლობის გაგრძელება).

უსაფრთხოებისა და დაცულობის მოთხოვნილებები ჩნდება მას შემდეგ, რაც დაკმაყოფილებულია ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა არანაკლებ 85%.

სოციალური მოთხოვნილებები (მეგობრობის, ოჯახის, სიყვარულის, სამსახურის) ჩნდება იმ შემთხვევაში, როდესაც დაკმაყოფილებულია უსაფრთხოების მოთხოვნილების 70%.

იმისათვის, რომ ადამიანს გაუჩნდეს **პატივისცემისა და აღიარების მოთხოვნილება**, რომელიც თავისთავში გულისხმობს განსაზღვრულ სათანადო სოციალურ სტატუსამდე და დამოუკიდებელ ქმედებებამდე მიღწევას, სოციალური მოთხოვნილებები 70%-მდე უნდა ჰქონდეს დაკმაყოფილებული.

თავმოყვარეობის 60%-ის დაკმაყოფილებისას, ადამიანში ჩნდება **თვითაქტუალიზაციის, თვითგამოხატვის, საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაციის მოთხოვნილება**. თვითრეალიზაციის 40%-ის მიღწევისას ადამიანი უკვე ბედნიერად გრძნობს თავს. თუმცა ამ დონეს, დედამიწის მოსახლეობის მხოლოდ 1-4% თუ აღწევს.

მიღებული მონაცემები დაექვემდებარა სტატისტიკურ ანალიზს.

არსებული 20 ინტერვიუს ანალიზისას გამოყოფილ იქნა სულ 169 ფრაგმენტი. ცალკეულ ინტერვიუებში შეფასებულ ფრაგმენტთა რაოდენობა

ვარირებდა 2-დან 17-მდე. მასლოუს პირამიდის პირველ საფეხურზე (ფიზიკური გადარჩენა) განთავსდა 6 ფრაგმენტი (3.56 %), მეორეზე (უსაფრთხოება და დაცულობა) - 31 (18.3 %), მესამეზე (სოციალური მოთხოვნილებები) - 68 (40.2 %), მეოთხეზე (ალიარება, პატივისცემა) - 58 (34.3 %), ხოლო მეხუთე საფეხურზე (თვითრეალიზაცია) - 6 (3.5 %).

წარმოდგენილი გასაშუალოებული მონაცემების განაწილების შედარება თითოეული პაციენტის შესაბამისი მონაცემების განაწილებასთან არ ცდება დევიაციის დასაშვებ ზღვარს და ადასტურებს გასაშუალოებული მონაცემების ვალიდურობას.

ამდენად, 85 წელს გადაცილებულ მოხუცებში, რომლებიც აცნობიერებენ დარჩენილი სიცოცხლის ხანგრძლივობის ლიმიტურობას, მაგრამ ინარჩუნებენ სოციალურ აქტივობას, ცალსახად ჭარბობს სოციალური ურთიერთობისა და პატივისცემის მოთხოვნილება. ამასთანავე, ამ მოთხოვნილებათა სპექტრი ფართოა, მესამე საფეხურზე წარმოდგენილია 1-5, ხოლო მეოთხე საფეხურზე 1-4 ნომინაციით.

ცხრილში წარმოდგენილია ინტერვიუთა იმ ფრაგმენტების ნიმუშები, რომლებიც შეფასდა როგორც მე-3, მე-4 და მე-5 დონეების შესაბამისი (ცხრილი 8):

ცხრილი 8: მასლოუს მოთხოვნილებათა / ღირებულებათა იერარქიის მე-3, მე-4 და მე-5 დონეების შესაბამისი ფრაგმენტების ნიმუშები.

კოდი	პირამიდის მესამე დონე
ქ/85	ორი წლის მერე ჩემი მეუღლე თბილისში გადმოიყვანეს, მეც გადმოვედი. ასე ვთქვათ, მისი სამსახურის ჭკუაზე დავდიოდი. სადაც გადაიყვანდნენ მეც იქით მივდიოდი. თბილისში თავიდან 3 წელი ვიყავით, მერე ერთი წლით გორში გადაიყვანეს, მერე ისევ თბილისში დააბრუნეს და დღემდე აქ ვცხოვრობთ. მე თავიდან სკოლაში დავიწყე მუშაობა ფილოლოგად, დაახლოებით 12 წელი ვიმუშავე. შემდეგ თავი

	<p>დავანებე და მას მერე მოსწავლეებს კერძოდ ვამზადებ ქართულ ენასა და ლიტერატურაში.</p> <p>მყავს სამი შვილი, ორი გოგო და ერთი ბიჭი, ოთხი შვილიშვილი და სამი შვილთაშვილი. ჩემთვის ამათზე დიდი განძი და მონაპოვარი ამ ცხოვრებაში არ არსებობს. ამათ რომ ვუყურებ, ვიძახი რომ ჩემს ცხოვრებას ფუჭად არ ჩაუვლია-თქო.</p>
კ/90	<p>დედა უაღრესად სათნო ქალი იყო, განათლებული, წერა-კითხვა დედამ მასწავლა. მახსოვს ლოცვებს მიკითხავდა ხოლმე. ისე ლოგინში დაწოლა მეკრძალებოდა. ყოველი სადილობის წინაც დედა სანთელს ანთებდა და ისე ვჯდებოდით სუფრასთან. კომუნისტების დროს ეს ტრადიცია თითქოს მიივიწყა, მაგრამ დღესასწაულებზე დედა აუცილებლად იმეორებდა იგივე რიტუალს. მახსოვს აღდგომის დღესასწაულზე, როგორ ემზადებოდა სააღდგომოდ. იყალთოს ეკლესიაში მოვდიოდით ხოლმე და იქ ვხვდებოდით აღდგომას. რატომღაც ყველაზე ნათლად ბავშვობიდან ეს მოგონებები მიტრიალებს თავში. მერე იყო მედ ინსტიტუტი. კარგი სტუდენტი ვიყავი ძალიან, მთლად ფრიადზე არ დამიმთავრებია ინსტიტუტი, მაგრამ ჩემი საქმე ძალიან მიყვარდა. სტუდენტობის პერიოდში გავიცანი ჩემი მეუღლეც, ულამაზესი გოგო იყო, ეხლაც შერჩენილი აქვს ხომ უყურებ იმ სილამაზის კვალი. ეს რომ არა ამ ხნობამდე რა მაცოცხლებდა. მთელი ცხოვრებაა მივლის. მე საკმაოდ მძიმე ხასიათები მქონდა, განსაკუთრებით სიმთვრალეში კახურად ვუბერავდი ხოლმე მაგრამ ეს ქალი სულ მაშოშმინებდა, ექიმ კაცს ეგრე მოქცევა არ გეკადრებოდა და მეც ვუჯერებდი ხოლმე.</p>
ქ/89	<p>ასე მგონია, რომ ბავშვობიდან ერთად ვართ, სიმართლე გითხრა ამის გარეშე განვლილი ცხოვრება კარგად არც მახსენდება, არ მახსოვს და მომკალი. ბევრჯერ მაბრაზებდა ჯეელობაში ეს კაცი, მაგრამ იმდენი კარგი თვისება ჰქონდა, რომ ვითმენდი, აბა ეხლანდელელებით წინ და უკან კი არ გავრბოდი დედასთან. რამდენჯერაც ქმარი გააბრაზებთ უკან რომ გარბიან. დაიმახსოვრე შვილო, ოჯახი ციხე სიმაგრესავით უნდა დაიცვა, ეხლა ჩემი ტყუილიც დაიჯერება, იმდენი ცხოვრება გამივლია. 3</p>

	<p>შვილი გავზარდე და ძალიან ვამაყობ ისეთი შვილები გაიზარდნენ, 3 ბიჭის გაზრდა ადვილი არ არის. სამაგალითო კაცები არიან. ხან წკეპლით დავდევი, ხან დაუყვავებდი, ბევრი ღამე მითენებია ამათზე დარდით, მაგრამ ჩიტი ბრდღუნად ღირდა.</p>
კ/93	<p>როცა სახლში ვბრუნდებოდი, დედა მიბრაზდებოდა სად ხარ აქამდეო, მაგრამ შუალამემდე მაინც გარეთ ვიყავი. მიუხედავად იმისა რომ დიდ დროს გარეთ ვატარებდი, ცუდი საქმე არასდროს ჩამიდენია. 38 წლის ვიყავი ცოლი რომ შევირთე. 2 შვილი გვეყოლა, ეხლა ერთი ცოცხალი აღარ არის, იმან დამაბერა. რაზე მოგიყვე არც ვიცი, დიდად საინტერესო ცხოვრება არ მქონდა. მათემატიკის მასწავლებლად ვმუშაობდი მთელი ცხოვრება. მე მგონი კარგი მასწავლებელი ვიყავი. ბავშვს უსამართლოდ არასდროს მოვექცევივარ. ყოველთვის ვცდილობდი სიკეთე მესწავლებინა მოსწავლეებისთვის. მეტს ვერაფერს გეტყვი, შეუძლოდ ვარ, თირკმელები მაწუხებს თანაც აღარაფერი მახსენდება.</p>
ქ/89	<p>ვცხოვრობ შვილიშვილთან და რძალთან ერთად. ისეთი კარგი რძალი მყავს, სხვათაშორის ისიც მეგრელია, სამომავლო გეგმებში სიმართლე გითხრათ ამდენი უარყოფითი ინფორმაციის შემხედვარე სიცოცხლე არ მინდა, ტელევიზორის ჩართვა და ყურება შემაზიზღეს.</p>
კ/85	<p>სკოლის პერიოდში გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე. ერთმანეთს პირობა მივეცით, რომ სანამ ჩავაბარებდით და უმადლესში არ მოვეწყობოდით ოჯახს არ შევექმნიდით. გერმანულ ფილოლოგიაზე მინდოდა ჩაბარება, მაგრამ ქულები არ მეყო და გადავწყვიტეთ ერთად გვესწავლა ზოოვეტერინარულზე. ჩემთვის ცოტა ძნელი იყო რადიკალურად განსხვავებული პროფესიის დაუფლება, მაგრამ ჩემი ცხოველებისადმი დიდი სიყვარული დამეხმარა ეს დამეძლია. ქირურგიული ჩარევა მაინც ვერ შევძელი და მსგავს შემთხვევებზე ჩემს მეუღლეს ვიხმარებდი ხოლმე. სწავლის დამთავრების შემდეგ სოფ. დიდმუხაში გამანაწილეს. ჩემი მეუღლე ჩემთან ახლოს სოფ. ავრანევში იყო განაწილებული.</p>

<p>კ/90</p>	<p>არაფერს არ შევცვლიდი. რომ დავბრუნდე ეხლა იმ დროში, ისევ ისე ვიქნებოდი. იმიტომ, რომ ძალიან ბევრი რამე ვნახე, ამ 90 წელში მოხდა ყველაფერი. ახალი სახელმწიფო ჩამოყალიბდა, მერე არეულობა, მერე დაჭერები და თავ-პირის მტვრევა ხალხის, მერე კოლექტივიზაცია და მთელი ამბები. მერე მოგება ომის. შევცვლიდი რა, მაინც ექიმი ვიქნებოდი მე. მაგრამ პირად ცხოვრებას შევცვლიდი ცოტას, იმიტომ რომ ცოტას ჩემზეც ვიფიქრებდი. პირადულ ამბავზე არასოდეს არ მიფიქრია. მე ცოლი გვიან შევირთე და ისიც მომიკვდა. 2 წელიწადია მარტო ვარ. ძალიან დიდხანს ვიცნობდით ერთმანეთს, მაგრამ ძირითადად ჩემს საქმეზე ვიყავი გადართული. გვიან დავკორწინდი, 60 წლის ვიყავი და შვილიც აღარ გაგვიჩნდა</p>
<p>კ/86</p>	<p>1945 წლიდან - 2010 წლამდე უწყვეტი სტაჟი მქონდა. ბავშვების, დიდი სიყვარულის მიუხედავად, ასაკის გათვალისწინებით გადავწყვიტე ჩემი დიდი სიყვარული შვილიშვილებისთვის გამენაწილებინა.</p> <p>მყავს ოთხი შვილი, 10 შვილიშვილი და 2 შვილთაშვილი. უბედნიერესი ვარ როცა ისინი ყველანი ერთად იკრიბებიან ჩემთან. მათ როცა ვუყურებ გულში გავიფიქრებ ხოლმე, რომ ცხოვრებას ფუჭად არ ჩაუვლია.</p> <p>ჩემი ერთი დღე ჩვეულებრივია, როგორც სოფლის ერთ-ერთ გლეხკაცს შეეფერება, მაგრამ ყოველთვის გამოვინახავ დროს წიგნისთვის და ბავშვებისთვის, რომლებთანაც საუბარი სხვადასხვა თემებზე დიდი სიხარულით მავსებს.</p>
<p>კ/89</p>	<p>ჩვენ პლენანოვზე იტალიურ ეზოში სარდაფში ვცხოვრობდით. მახსოვს საშინელი ნესტი იყო იმ სარდაფში. დაახლოებით 8 წლის ვიყავი რომ მამამ “ატსტუპნოით” ბინა აიღო ვორონცოვზე და იქ გადავედით მე, დედა და მამა საცხოვრებლად. ერთი პატარა ოთახი იყო, მაგრამ ნესტი აღარ იყო რაც მთავარია და მზის შუქი შემოდოდა ფანჯარაში და დედაც აღარ წუწუნებდა, ბავშვს ჭლექი დაემართებაო. ისე სარდაფში გატარებულმა წლებმა კვალი მაინც დამიტოვა, 27 წლის ასაკში პლევრიტი დამემართა და ძლივს გადავურჩი სიკვდილს, აბასთუმანშიც ვმკურნალობდი, ომშიც არ წამიყვანეს სუსტი ფილტვების და</p>

	<p>ჯანმრთელობის გამო. სამაგიეროდ ჩემი ძმა რომელიც ჩემზე უფროსი იყო წავიდა ომში და ქერჩში დაიღუპა.</p>
ქ/85	<p>ჩემი მეუღლე სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. სასიყვარულო წერილები და თაიგულები ყოველდღე არ წყდებოდა. ფილოლოგს ენაწყლიანობა არ უჭირდა და იმდენად გამაბრუა თავისი სიტყვებით მგონი დღემდე ასე ვარ.</p> <p>გათხოვების მიუხედავად მუშაობისთვის თავი არ დამინებებია. ერთად დავდიოდით ყველგან, მათ შორის სკოლაშიც. ყველაფერში ვეხმარებოდით ერთმანეთს, სკოლაც ერთად დავტოვეთ.</p> <p>ჩემი დღე შვილიშვილებით იწყება და მათით მთავრდება. ისინი დიდ სიხარულს და ბედნიერებას გვანიჭებენ.</p>
ქ/90	<p>17 წლის ვიყავი დედა რომ გარდამეცვალა. უმცროსი და თბილისში წამოვიყვანე და მე ვზრდიდი. ორ წელიწადში უმცროსი ძმაც წამოვიყვანე რადგან მამაჩემმა ცოლი მოიყვანა და დედინაცვალი ძალიან ცუდად ექცეოდა. თბილისში ქირით ვცხოვრობდი ბეჟანიშვილის ქალთან, რომელიც მარტოხელა ქალი იყო. როგორც დედა-შვილი ისე ვიყავით. ბოლომდე ვუპატრონე, რომ გარდაიცვალა მე და ჩემმა შვილებმა დავიტირეთ. ჩემს და-ძმას ამ ქალს ვუტოვებდი, როცა სასწავლებელში მივდიოდი.</p>

კოდი	პირამიდის მეოთხე დონე
ქ/88	<p>მე ბედნიერად ვგრძნობ თავს რომ მქონდა საშუალება მემუშავა იმ სფეროში, რომელიც ძალიან მომწონდა. ეს პროფესია ძალიან შევისისხლხორცე. ასაკი საკმაოდ დიდი მაქვს, მაგრამ მაინც ვმუშაობ. საპატრიარქოს ქართულ უნივერსიტეტში მიმართულება ჩამოვაყალიბე, „.....“ და იქაც მიდის მუშაობა. ეხლახანს ძალიან დიდი აღიარება მოვიპოვე. დამაჯილდოვეს საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ორდენით, წმინდა გიორგის ოქროს ორდენით. ჩემთვის ძალიან დიდი პატივია ეს, თვითონ პატრიარქმა გადმომცა ორდენი. ასე, რომ მაინც ვაგრძელებთ</p>

	<p>მუშაობას.ეხლა კიდევ გვაქვს იმედი. ახალი მთავრობა აყენებს საკითხს, რომ განვითარდეს მეცნიერება და ჩვენც ამისთვის ვემზადებით. ასე, რომ ხელი არა გვაქვს ჩაქნეული. ასპარეზი დიდი გვაქვს, საშუალება არის, პერსპექტივა არის და ასე, რომ იმედი გვაქვს მომავლის.</p>
<p>კ/88</p>	<p>ქორეოგრაფიულ სტუდიაშიც დავდიოდი პარალელურად. მეორე კურსზე ვიყავი მაშინ, 44 წელში, როცა ილიკო სუხიშვილმა დაიწყო ანსამბლის გაკეთება. ილიკოს სულ უნდოდა ანსამბლის შექმნა. როგორც, მაისევის ანსამბლი იყოს რუსეთში და ჩვენთან არაფერი იყოს? და სტუდიელი ხალხი, 8 გოგო და 16 ბიჭი შეგვკრიბა 44 წელში და დავიწყეთ რეპეტიციები ფილარმონიაში პლენანოვზე. ახლა რომ კომპოზიტორთა სახლია იმის გვერდზე იყო ფილარმონია. თუ ვინმე ინტელიგენტის ნახვა გინდოდა, იქ ნახავდი ბალში. მუსხელიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია და ა.შ. პირველ რეპეტიციაზე ვიდექით 4 გოგო და 8 ბიჭი. ნელნელა გავხდით 16 ბიჭი და 8 გოგო. მე-9 ნინა იყო და მე-17 ილიკო სუხიშვილი. ერთი თვე და რაღაც დღეები ვიყავით და გამოგვყარეს. მერე გადავედით სარეპეტიციოდ ბერიას კლუბში. ილიკომ გააკეთა ნაცნობობით. ერთი 20 დღე ვიყავით იქ. მერე გამოგვყარეს იქიდანაც. წამოვედით იქიდან და ბესიკის ქუჩაზე იყო მილიციის კლუბი. ანსამბლი ჰყავდა მილიციას და იმის ხელმძღვანელს ილიკო იცნობდა კარგად. ხოდა იმან შეგვიკედლა. შეგვიკედლა და 2 თვის შემდეგ ჩვენი გულისათვის კინალამ მაგიც მოხსნეს იქიდან. წამოვედით იქიდანაც. დინამოს სტადიონი მაშინ არ იყო, 2 იარუსი იყო მარტო. იქ ერთი ოთახი მოგვცეს რაღაცა. ნინა რამიშვილის ძმა იყო ფეხბურთელი, იმან ჩავვიწყო საქმე და მოგვცეს ერთი ოთახი სარეპეტიციოდ. ერთი-ორი თვე ვიყავით იქა და იქიდანაც გამოგვყარეს. 5-ჯერ დავგზავლეს მოკლედ. ჩვენ თვითონ ვყიდულობდით ჩუსტებს, ტანსაცმელს. მე მაგალითად ნოხი გავიტანე სახლიდან და გავყიდე, ილიკომ მანქანა გაყიდა. მერე თანდათან შემოგვემატნენ და გავხდით 40 კაცი. უკვე დაემსგავსა რაღაცას. ეხლა ერისიონი სადაც არის რუსთაველზე, ზაქროს დარბაზი იყო მანდ, ილიკოს მეგობარი იყო და იქ გადავედით მერე სარეპეტიციოდ. იქ გვქონდა რეპეტიციები.</p>

ქ/89	<p>შევცვლა რომ შეიძლებოდა რამის რას ვიზავდი და ჯანს დავზოგავდი. ფერ უმარილსაც წავისმევდი ეხლა რო იმახის ეს კაცი ნაოჭები აქვს-ნაკლები ნაოჭები მექნებოდა. აქეთ იქაც ნაკლებს ირბენდა და მეტ პატივსაც მცემდა ალბათ.</p>
კ/90	<p>დღემდე მაკითხავენ ხოლმე მაღლიერი პაციენტები. ჩემი პროფესია ძალიან მიყვარს მე მგონი წელანაც გითხარი, მგონია რომ ამაზე კარგი საქმე დუნიაზე არ არსებობს. ისე ჩემ ცოლსაც აუღეთ ინტერვიუ, ჩემი დედაკაცი უფრო მჭერმეტყველია ხო იცი ქალებს გრძელი ენა აქვთ. რას შევცვლიდი და ქალს შევცვლიდი რო შემემლოს მაგრამ გვიან როა? ეხლა მე მგონი ამასაც აღარ ვუნდივარ და სხვა დედაკაცს რაღაში დავჭირდები :) მე და ჩემ ქალს ცივ ნიავს არ გვაკარებენ, დაჟე გაზეთებიც კი მოაქვთ ყოველ კვირა. ერთი გაზეთი მთელი კვირა გვყოფნის მე და ჩემ ქალსა. ქალი ვეღარ ხედავს მე კიდე კარგად ვკითხულობ და ყოველ საღამო ვუკითხავ ახალ-ახალ ამბებს. ხან პოლიტიკაზე ხან ლიტერატურაზე და ხანაც რაზე აღარ.</p>
კ/85	<p>ჩემი პირველი მგზავრობა საზღვარგარეთ იწყება იტალიიდან, შემდეგ ვიყავი კანადაში, მერე იაპონიაში. მე პირველი ქართველი ვიყავი ალბათ ომის შემდეგ იაპონიაში რომ მოვხვდი. მერე ვიყავი ბერლინში. ბერლინი იყო ჩემი ქალაქი რა... ძალიან ხშირად დავდიოდი. ასევე პარიზში, ლუბლიანაში. არსად არ იყო ბარიერი</p> <p>აღარ მახსოვს ბოლოს როდის ვიყავი. მგონი 80 წლის იუბილე რომ გადამიხადეს. არა, არა მერე კიდევ ვიყავი, რაღაც სიგელი მომცეს და მაშინ იყო ბოლო.</p>
კ/87	<p>შესაცვლელი ძალიან ბევრი რამეა. სამედიცინო განათლებაში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საბაზისო დისციპლინებს. ამაზეა ყველაფერი აგებული და თუ საბაზისო არ არის განვითარებული და არ ისწავლე სათანადო დონეზე, სხვას ვერაფერს ვეღარ ისწავლი.</p>
კ/91	<p>ჩემი მეუღლე მუშაობდა აქვე კათედრაზე . ჩემთვის ლამაზი და კარგი ქალი იყო, იმიტომ, რომ როგორც იტყვიან ჩემი მეუღლე ჩემი თანამებრძოლიც იყო. გერმანული და რუსული ენები კარგად</p>

	<p>იცოდა და ლიტერატურის მხრივ კარგად გამიადვილა მუშაობა.</p> <p>.....ვაკეთებდით ყველაფერს რისი გაკეთებაც საჭირო იყო. ბოლო წლებში ორივე პედაგოგიურ მუშაობაზე გადავედით იმიტომ რომ მეცნიერებას ხელფასი არ ქონდა ასე რო უმაღლეს სასწავლებლებში ლექციებს ვკითხულობდით ხოლმე. იმდენ ლექციას ვკითხულობდი რო პირი გაღებული მქონდა მუდამ © კადრები არ ჰყავდათ და ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი და კარგი მოეწვიათ....</p>
კ/89	<p>კომუნისტური წეს-წყობილების დროს სოფლის მეურნეობას დიდი ყურადღება ექცეოდა. მას შემდეგ რაც სააკაშვილი მოვიდა მთავრობაში მითხრეს აღარ გვჭირდებიო და გამომიშვეს სამსახურიდან. არადა ბევრი კარგი იდეა მქონდა, ეხლაც არავის უნდა ეს შენი სოფლის მეურნეობა. დაანგრის და მონაგავს ყველაფერი. ჩემი ლაბორატორიაც რომელსაც წლები შევალე აღარ არსებობს. მწყდება გული უზომოდ. ერთადერთი რითიც ეხლა ვერთობი შვილთაშვილებია. ჩემ შვილიშვილ ნინუცას ტყუპები ჰყავს და ისინი მილამაზებენ ცხოვრებას. კვირის ბოლოს მოდიან ხოლმე ჩემთან სტუმრად. შეცვლით რას შევცვლიდი და ჩემი ნება რომ იყოს სოფლის მეურნეობას ავალორძინებდი საქართველოში, ერთადერთი ხსნა ქვეყნისთვის ეს არის. საქართველო უნდა გახდეს აგრარული ქვეყანა. დიდი პოტენციალი აქვს ამ ქვეყანას. სამომავლოდ მინდა რომ კიდევ რამეში გამოვადგე აქაურობას. თუ ვინმე დამიძახებს მე მზად ვარ.</p>
ქ/87	<p>აი, იმ საბჭოთა კავშირში განათლება იყო არაჩვეულებრივ დონეზე. ყველაფერი უფასო იყო. თეატრში წასვლა რომ ადამიანს არ შეძლებოდა ეს იყო წარმოუდგენელი. ყოველდღე რომ გევლო თეატრში ამის საშუალება სულ იყო. ეხლა სად არის, თეატრში როდის ვიყავი აღარ მახსოვს. აღარც მაინტერესებს. მაშინ არაჩვეულებრივი თეატრები გვქონდა თავისი არაჩვეულებრივი მსახიობებით. ძალიან, ძალიან დაეცა ყველაფერი. სამედიცინო მეცნიერებაც, ყველაფერი დაკნინდა. ჩვენ ძალიან მაღალ დონეზე ვიყავით და ჩვენი სკოლა, ქართული სკოლა, ცნობილი იყო მსოფლიოში. დღეს სადღაა, ყველაფერი გაანადგურეს. არაფერი აღარ არის. დღეს შესაძლებლობები მეტია, მონდომება ნაკლები. ამასაც</p>

	<p>თავისი მეზუზები აქვს ალბათ, უმიზუზოდ არაფერი არ ხდება. იმიტომ კი არა რომ ჩვენ კარგები ვიყავით და ეხლა ცუდები არიან, უბრალოდ შეიცვალა სიტუაცია და ისეთი მდგომარეობა ჩამოყალიბდა, როდესაც არავის არაფერი არ აინტერესებს. ჩვენ ოღონდ გაგვეკეთებინა საქმე და ფულის შოვნაზე აბსოლუტურად არავინ არ ფიქრობდა. გამორიცხული იყო. ეხლა ეს ყველაფერი სულ სხვანაირად დატრიალდა. ფულის გარეშე პირსაც კი არ გააღებენ. რა საშინელებაა ეს, წარმოუდგენელი საშინელებაა. ქართველებისთვის ეს არის დამღუპველი. უკუღმა დატრიალდა ჩვენი ბედის ბორბალი. სწრაფად იცვლება ადამიანი ძალიან ცუდისკენაც და კარგისკენაც. ღმერთმა ქნას ისევ ყველაფერი კარგისკენ შეიცვალოს.</p>
--	--

კოდი	პირამიდის მეხუთე დონე
კ/89	<p>მიმართულება ფაქტობრივად მე ჩამოვაყალიბე. ეხლა ტრაბახი არ გამომივიდეს, იმერეთში იტყვიან, ტრაბახი ჭლაკვად ღირს და ჭლაკვი 10 კაპიკადო. ასე, რომ ამ მიმართულებას მე ჩავუყარე საფუძველი. ჩამოვაყალიბე განყოფილება ინსტიტუტში. საჭირო ლიტერატურა გამოვიწერე, მე მქონდა მარტო.</p>
ქ/88	<p>ერთმანეთის გატანა იყო, გაჭირვება და რამე არ იყო. გაჭირვებულები ხშირად მოდიოდნენ, დახმარებას ითხოვდნენ და მე სულ ვეხმარებოდი, რისი შესაძლებლობაც მქონდა. უმადური არავინ მყავდა, „კეთილ ქალს“ მეძახდნენ. ალბათ ამის გავლენაც არის რომ ამდენი ხანი მოვალწიე და ღმერთის მადლობელი ვარ. 10 წელია რაც თბილისში ვარ, მანამდე სულ ქუთაისში ვცხოვრობდი.</p>
კ/86	<p>მოსკოვში მე გამაგზავნეს ოფიციალურად. მე ვიყავი საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე და ამისი დაცვა თავდაცვის სამინისტრომ იქ დანიშნა. ჩავედით მოსკოვში. იმ დროს ასე იყო რომ მათი საკავშირო ექსპერტები იღებდნენ მონაწილეობას იმ გამოკვლევებში, რომლებსაც ჩვენ ვატარებდით. ჩვენ ყოველდღიურად რასაც აღმოვაჩენდით, მათ ვაჩვენებდით და ჟურნალში დღის ბოლოს ხელს ვაწერინებდით. როცა ბოლოს, ქლორპიკრინის შესახებ დასკვნა გაკეთდა, ესენი ადგნენ და გაიქცნენ. მაგრამ მანამდე გაკეთებულ</p>

	<p>მთელი 2 თვის ანალიზებზე მათი ხელმოწერები შენახული გვქონდა. ეს დაავიწყდათ იმათ თუ რა მოხდა, რომ ასეთი ჟურნალი არსებობდა და მათ ხელი ჰქონდათ მოწერილი არ ვიცი. როდესაც პრეტენზიები დაიწყეს, მე ავდექი და ეს ჟურნალი დავუდე წინ. ამას არ მოელოდნენ.</p>
--	---

ჩვენს მიერ, კვლევის საწყის ეტაპზე გამოკვლეული იქნა 85 წელს გადაცილებული 10 მოხუცი, რომლებიც აგრძელებენ გონებრივ მუშაობას და ინარჩუნებენ სოციალურ აქტივობას. მათგან აღებული ინტერვიუს ანალიზისას გამოყოფილ იქნა სულ 89 ფრაგმენტი. ცალკეულ ინტერვიუებში შეფასებულ ფრაგმენტთა რაოდენობა ვარიირებდა 2-დან 13-მდე. მასლოუს პირამიდის პირველ საფეხურზე (ფიზიკური გადარჩენა) განთავსდა 3 ფრაგმენტი (3. 37 %), მეორეზე (უსაფრთხოება და დაცულობა) - 15 (16.8 %), მესამეზე (სოციალური მოთხოვნილებები) - 36 (40.4 %), მეოთხეზე (აღიარება, პატივისცემა) - 30 (33.7 %), ხოლო მეხუთე საფეხურზე (თვითრეალიზაცია) - 5 (5.6 %).

ეს შედეგები წარდგენილ იქნა ევროპის პალიატიური მზრუნველობის ასოციაციის სამეცნიერო კონგრესზე, რომელიც 2014 წლის 5–7 ივნისს გაიმართა ქ. ლეიდაში (ესპანეთი) ("Perceptions of- and Attitudes towards End-of-Life Needs and Demands of Elders over 80 Years Continuing Intellectual Work in Georgia" *Chikhladze N., Velijanashvili M., Kordzaia D.*)

თუ ამ 10 ინტერვიუს შედეგებს შევადარებთ ზემოთ მოტანილ საბოლოო შედეგებს (20 ინტერვიუ, მათ შორის ის 10 ინტერვიუც, რომელიც აღებული იქნა კვლევის საწყის ეტაპზე), აღმოჩნდება, რომ შედეგი იდენტურია. პირამიდის საფეხურების შესაბამისად წარმოდგენილ პროცენტებში სხვაობა სარწმუნო არ არის. და ეს იმის მიუხედავად, რომ კვლევის შემდგომ ეტაპებზე გამოკითხული (ინტერვიუირებული) მოხუცები არ მიეკუთვნებოდნენ მხოლოდ გონებრივად მომუშავეთა ჯგუფს.

აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ სიცოცხლის ლიმიტირებული ხანგრძლივობის გამაცნობიერებელი ხანდაზმული (85 წლისა და მეტი ასაკის) პირების ცხოვრების მიწურულის მოთხოვნილებები და დამოკიდებულებები

მეტწილად იდენტურია და მათი $\frac{3}{4}$ შეესაბამება მასლოუს პირამიდის მე-3 და მე-4 დონეებს.

ხანდაზმული ასაკი, ბუნებრივია, შერწყმულია ისეთ პათოლოგიებთან (პათოლოგიურ მდგომარეობებთან), რომლებიც ჩვენს მიერ განხილული იქნა პირველი ამოცანით განსაზღვრული პრობლემის კვლევის დროს. ამის მიუხედავად, მოხუცებში სჭარბობს **სოციალური მოთხოვნილებები** (მეგობრობის, ოჯახის, სიყვარულის) და **პატივისცემისა და აღიარების მოთხოვნილებები**.

ამდენად ამ მოთხოვნილებების გათვალისწინება, აუცილებელია მოხუცთა პალიატიური მზრუნველობის სამსახურის მოდელის შემუშავებისას. აუცილებელია ისეთი გარემოს შეთავაზება, სადაც ოჯახის წევრებს შეეძლებათ მათთან კომუნიკაცია, შესაძლებელი იქნება თუნდაც მინიმალური სოციალური აქტივობის რეალიზაცია. ამასთანავე, ამ კონტინგენტთან მომუშავე ექიმებმა კარგად უნდა გააცნობიერონ, რომ მოხუცებს, რომელთაც ისედაც გაცნობიერებული აქვთ დარჩენილი სიცოცხლის ლიმიტურობა, მკურნალობასა და სიმპტომთა მართვის პარალელურად სჭირდებათ განსაკუთრებული პატივისცემითა და გულისყურით მოპყრობა.

დასკვნები

1. სიმსივნით ავადმყოფ ხანდაზმულთა რაოდენობა ჩამორჩება საშუალო ასაკის ასეთსავე ავადმყოფთა რაოდენობას, თუმცა, 5-ჯერ აჭარბებს სიმსივნით დაავადებულ ახალგაზრდების რიცხვს. ხანდაზმულთა ხვედრითი წილი ყველაზე მაღალია გულ-სისხლძარღვთა, შარდ-სასქესო, სასუნთქი, თვალის და ენდოკრინული სისტემის დაავადებების მქონე ავადმყოფებს შორის (აღნიშნული დაავადებები შეადგენს ქრონიკული პათოლოგიების 89.3 %-ს), რაც გათვალისწინებული უნდა იქნას მოხუცთა პალიატიური მზრუნველობის მოდელის შექმნისას.

2. ხანდაზმულ ავადმყოფთა მკურნალობის დროს ფართოდ გამოიყენება კომპლექსური (პოლი-) თერაპია, როდესაც ექიმები ნიშნავენ სხვადასხვა სამკურნალო პრეპარატებს და სამწუხაროდ მხედველობაში არ იღებენ იმ ფაქტს, რომ ამ დროს იზრდება წამალთა ურთიერთქმედების არასასურველი რეაქციები. კვლევამ წარმოაჩინა საქართველოს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში სრულყოფილი გერიატრიული სამსახურის - საავადმყოფოებში გერიატრიული განყოფილებების, პოლიკლინიკებში გერიატრიული კაბინეტების, ასევე მოხუცთა დღის სტაციონარებისა და ბინაზე მოვლის პალიატიური სამსახურის შექმნის აუცილებლობა.

3. საქართველოში ხანდაზმული ასაკის მოსახლეობის სრულფასოვანი სამედიცინო მომსახურების და, მათ შორის, პალიატიური მზრუნველობის ადეკვატური მოდელის დანერგვისათვის აუცილებელია სამედიცინო განათლების ყველა დონეზე ზოგადი გერონტოლოგიისა და გერიატრიის და პალიატიური მედიცინის (მზრუნველობის) სასწავლო პროგრამის დანერგვა.

4. საქართველოს ოთხ ქალაქში ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა ინტენსიური თერაპიის (რეანიმაციის) განყოფილებაში მომუშავე ექიმებისა და ამავე განყოფილებაში სერვის-მიღებული ხანდაზმული პაციენტების ოჯახის წევრების შეხედულებების (შეფასებების) შეუსაბამობა მათ შორის კომუნიკაციის თაობაზე. პაციენტების ოჯახის წევრების მხოლოდ ერთი მეოთხედი (23.7%) იყო კმაყოფილი კომუნიკაციის დონით. უკმაყოფილების მთავარ მიზეზს წარმოადგენდა მათი საჭიროებების და მოთხოვნების (მოთხოვნილებების) არასათანადო გაზიარება და პატივისცემა. ამასთანავე, ექიმების 78.5% დადებითად აფასებდა პაციენტების ოჯახის წევრებთან საკუთარი კომუნიკაციის დონეს.

5. პაციენტების ოჯახის წევრთა კმაყოფილების დონე არ განისაზღვრება მხოლოდ გაწეული სამედიცინო მომსახურების შედეგით. ის მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმის აღქმაზე, თუ რამდენად ხორციელდება ეს მომსახურება ადეკვატური კომუნიკაციის თანხლებით, რაც ადასტურებს პაციენტისა და მისი ოჯახის წევრებისადმი მედიკოსთა პიროვნულ პატივისცემას.

6. სიცოცხლის ლიმიტირებული ხანგრძლივობის გამაცნობიერებელი ხანდაზმული (85 წლისა და მეტი ასაკის) პირების ცხოვრების მიწურულის მოთხოვნილებები და დამოკიდებულებები მეტწილად იდენტურია და მათი $\frac{3}{4}$ შეესაბამება მასლოუს პირამიდის მე-3 და მე-4 დონეებს. ამათში ცალსახად სჭარბობს სოციალური ურთიერთობის, სიყვარულისა და პატივისცემის მოთხოვნილება. ამ მოთხოვნილებების გათვალისწინება, აუცილებელია მოხუცთა პალიატიური მზრუნველობის სამსახურის მოდელის შემუშავებისას.

ლიტერატურა:

1. About the Marie Curie Delivering Choice Programme [web site]. London, Marie Curie Delivering Choice Programme, 2010 (http://deliveringchoice.mariecurie.org.uk/about_the_delivering_choice_programme)
2. Addicott R, Dewar S. Improving choice at end of life: a descriptive analysis of the impact and costs of the Marie Curie Delivering Choice Programme in Lincolnshire. London, King's Fund, 2008.
3. Addington-Hall J, Altmann D, McCarthy M. Variations by age in symptoms and dependency levels experienced by people in the last year of life, as reported by surviving family, friends and officials. *Age and ageing*. 1998;27(2):129-36.
4. Ahmad S, O'Mahony MS. Where older people die: a retrospective population-based study. *Quarterly Journal of Medicine*, 2005, 98:865–870
5. Aita, K.; Takahashi, M.; Miyata, H.; Kai, I.& Finucane, TE.(2007) Physicians' attitudes about artificial feeding in older patients with severe cognitive impairment in Japan: a qualitative study. *BMC Geriatrics*, Vol.7, (August 2007), p.22, ISSN 1471-2318
6. Akabayashi et al., 1997; Hirakawa et al., 2006b) (Akabayashi, A.; Kai, I.; Ito, K.& Tsukui, K. (1997) [The acceptability of advance directives in Japanese society: a questionnaire study for health people in the physical check-up settings]. *Journal of the Japan Association for Bioethics*, Vol.7, No.1, (September 1997), pp.31-40. (in Japanese) ISSN 1343-4063;
7. American Geriatrics Society Panel on Persistent Pain in Older Persons. The management of persistent pain in older persons. *Journal of the American Geriatrics Society*, 2002,50(Suppl.):S205–S224 (<http://www.americangeriatrics.org/products/positionpapers/JGS5071.pdf>)
8. American Health Care Association. Testimony of the National Center for Assisted Living presented to the Institute of Medicine Committee on Improving Quality in Long Term Care, March 12, 1998. Available at: <http://www.ahca.org/brief/written.htm>
9. Anderson GF, Hussey PS. Population aging: a comparison among industrialized countries. *Health affairs*. 2000 May 1;19(3):191-203.
10. Annual report April 2007 – March 2008. London, King's College Hospital NHS Foundation Trust, King's College Hospital Palliative Care Team, 2008.
11. Kendall M, Edmonds P, Booth S. Palliative care in the acute hospital setting. Oxford, Oxford University Press, 2009.

12. Arcand M et al. Educating nursing home staff about the progression of dementia and the comfort care option: impact on family satisfaction with end-of-life care. *Journal of the American Medical Directors Association*, 2009, 10:50–55.
13. Arcand M, Caron C. Comfort care at the end of life for persons with Alzheimer's disease or other degenerative diseases of the brain. Sherbrooke, Centre de sante et de services sociaux, Institut universitaire de geriatrie de Sherbrooke, 2005 (<http://www.expertise-sante.com/guidespratiques>)
14. Arno PS, Levine C, Memmott MM. The economic value of informal caregiving. *Health Affairs*. 1999 Mar 1;18(2):182-8.
15. As a Process G. Grief and Bereavement in Pediatric Palliative Care. *Pediatric Palliative Care*. 2015 Aug 3:11.
16. Back AL, Wallace JI, Starks HE, Pearlman RA. Physician-assisted suicide and euthanasia in Washington State. Patient requests and physician responses. *JAMA*. 1996;275:919-925
17. Bailey FA et al. Improving processes of hospital care during the last hours of life. *Archives of Internal Medicine*, 2005,165:1722–1727.
18. Baltes MM, Carstensen LL. The process of successful ageing. *Ageing and society*. 1996 Jul 1;16(04):397-422.
19. Bekelman JE, Halpern SD, Blankart CR, Bynum JP, Cohen J, Fowler R et al. Comparison of Site of Death, Health Care Utilization, and Hospital Expenditures for Patients Dying With Cancer in 7 Developed Countries. *Jama*. 2016;315(3):272-83. doi:10.1001/jama.2015.18603.
20. Bentur N, Emanuel LL, Cherney N. Progress in palliative care in Israel: comparative mapping and next steps. *Israel journal of health policy research*. 2012 Feb 20;1(1):1.;
21. Bernabei R, Gambassi G, Lapane K, Landi F, Gatsonis C, Dunlop R, Lipsitz L, Steel K, Mor V, SAGE Study Group. Management of pain in elderly patients with cancer. *Jama*. 1998 Jun 17;279(23):1877-82.
22. Better Palliative Care for Older People. [<http://www.euro.who.int/document/E82933.pdf>].
23. Birch D, Draper J. A critical literature review exploring the challenges of delivering effective palliative care to older people with dementia. *Journal of clinical nursing*. 2008 May 1;17(9):1144-63.

24. Bishop CE. Where are the missing elders? The decline in nursing home use, 1985 and 1995. *Health Aff. (Millwood)* 1999;18:146-155. Zimmerman SS, Sloane PD, Eckert JK, eds. *Assisted Living Needs, Practices, and Policies in Residential Care for the Elderly*. Baltimore, MD: Johns Hopkins University Press; 2001
25. Bito, S.& Asai, A. (2007) Attitudes and behaviors of Japanese physicians concerning withholding and withdrawal of life-sustaining treatment for end-of-life patients: results from an internet survey. *BMC Medical Ethics* ,Vol.8, (June 2007), p. 7, ISSN 1472-6939
26. Blinderman CD, Cherny NI. Existential issues do not necessarily result in existential suffering: lessons from cancer patients in Israel. *Palliative medicine*. 2005 Jul 1;19(5):371-80.
27. Bolmsjo I: Review Article: End-of-Life Care for Old People: A Review of the Literature. *Am J Hosp Palliat Care* 2008, 25.
28. Bronstein JM, Jones CA. Ethics, technology, and the high cost of dying: a public form. *South Med J*. 1986;79:1485-1488
29. Brooker D, Latham I. *Person-Centred Dementia Care: Making Services Better with the VIPS Framework*. Jessica Kingsley Publishers; 2015 Nov 21.
